# საქართველოს უნივერსიტეტი

THE UNIVERSITY OF GEORGIA



2024-2025

# რატომ
# საქართველოს
# უნივერსიტეტი?

საქართველოს უნივერსიტეტი გამორჩეულია მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესითა და ისეთი ტიპის თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რომელშიც სტუდენტი ხარისხიან განათლებასთან ერთად პრაქტიკულ უნარებსაც ეუფლება. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი, რომლის კურსდამთავრებული სწავლის პროცესშივე იღებს კარიერული წინსვლისთვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს და სწავლის დასრულებისთანავე წარმატებულად დასაქმების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი  მაღალკვალიფიციური, კრეატიული და ენთუზიაზმით აღსავსე პროფესიონალების გუნდია, რომელიც მზად არის აღზარდოს აუცილებელი ცოდნით აღჭურვილი, ლიბერალური ღირებულებების მქონე პასუხისმგებლიანი მოქალაქე და სფეროს გამორჩეული ლიდერი. საერთაშორისო რეიტინგების თანახმად,  საქართველოს უნივერსიტეტი რეიტინგით  ქვეყნის კერძო უნივერსიტეტებს შორის პირველ ადგილზეა და რეგიონის მასშტაბით უნივერსიტეტების ტოპ ათეულში შედის. აღნიშნული კვლევები ადასტურებს იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორები საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესში არიან ჩართულნი და თავიანთ სფეროში ღირებულ სამეცნიერო მიღწევებს ქმნიან. მათგან სწავლა და მათი გამოცდილების გაზიარება სტუდენტებს მიღებული ცოდნის რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას და თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებას უმარტივებს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს უნივერსიტეტში  10000-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტი სწავლობს სამივე საგანმანათლებლო საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) აკრედიტირებულ პროგრამებზე, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. უნივერსიტეტი მუდმივად ვითარდება და ითვალისწინებს აკადემიურ სივრცეში საერთაშორისო მოთხოვნებსა და ტენდენციებს. სწორედ ამიტომ, საქართველოს უნივერსიტეტს ყოველწლიურად ახალი და ინოვაციური აკადემიური პროგრამები ემატება. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ პროფესიები, რომელიც შრომის ბაზრის უახლეს მოთხოვნებს ეხმიანება.

საქართველოს უნივერსიტეტის მიზანი თითოეული სტუდენტის პიროვნული განვითარება და მისი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალის ჩამოყალიბებაა. ამიტომ, ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული მოთხოვნადია თანამედროვე შრომით ბაზარზე, რასაც კურსდამთავრებულთა დასაქმების უმაღლესი სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს.

საქართველოს უნივერსიტეტში სწავლების კონცეფციას ფილოსოფიურად ვუდგებით, ჩვენ გვჯერა გამოცდილებაში გააზრებული სწავლის და ახალი შესაძლებლობების აღმოჩენის როგორც საკუთარ თავში, ასევე გარემოში. შესაბამისად, სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავება უნივერსიტეტის პრიორიტეტია, ხოლო მათი იდეები წახალისებული და განხორციელებადი.

სწავლის პარალელურად უნივერსიტეტი სტუდენტებს საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებასა და მრავალფეროვან საუნივერსიტეტო აქტივობებს სთავაზობს, რაც სტუდენტისთვის ფართო სანაცნობო წრის შექმნის და ნაყოფიერი წლების გატარების შესაძლებლობაა, ხოლო კურსდამთავრებულისთვის დიდი ოჯახის წევრობა, რომლის სახელი და მხარდაჭერა მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება. საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტობა ნიშნავს სწავლის, შემეცნების, აღმოჩენის, შემოქმედების, საკუთარი თავის გამოვლენისა და წარმატებული კარიერული წინსვლის დასაწყისს. საქართველოს უნივერსიტეტი ნიშნავს შესაძლებლობებს.

## მეცნიერება და ტექნოლოგიები

**EXCELLENTIA**

### საბაკალავრო პროგრამები

- ინფორმატიკა
- მათემატიკა
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ინგლისურენოვანი)
- ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერია (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- სამოქალაქო ინჟინერია (ინგლისურენოვანი)
- კომპიუტერული ინჟინერია (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- სამოქალაქო ინჟინერია (ინგლისურენოვანი)

### სამაგისტრო პროგრამები

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტი
- ბლოკჩეინი-დეცანტრალიზებული ინფორმაციული სისტემები
- წმინდა და გამოყენებითი  მათემატიკა
- გამოყენებითი მეცნიერებები
- ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკა
- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

### სადოქტორო პროგრამები

- ფიზიკა
- მათემატიკა
- კომპიუტერული მეცნიერება



**4-13**

## ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები

**HUMANITAS**

### საბაკალავრო პროგრამები

- ქართული ფილოლოგია
- ინგლისური ფილოლოგია
- ხელოვნებათმცოდნეობა
- ისტორია
- აღმოსავლეთმცოდნეობა
- არქეოლოგია
- არქიტექტურა
- ინგლისური ფილოლოგია (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ქართული ტრადიციული მუსიკა
- ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი

### სამაგისტრო პროგრამები

- ქართული ფილოლოგია
- ინგლისური ფილოლოგია
- არქეოლოგია
- საქართველოს ისტორია
- განათლების ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
- განათლების მენეჯმენტი

### სადოქტორო პროგრამები

- ფილოლოგია
- ისტორია



**14-24**

## სოციალური მეცნიერებები

**LIBERTAS**

### საბაკალავრო პროგრამები

- პოლიტიკის მეცნიერებები
- ჟურნალისტიკა
- სტრატეგიული კომუნიკაციები
- საერთაშორისო ურთიერთობები
- ფსიქოლოგია

### სამაგისტრო პროგრამები

- გამოყენებითი ფსიქოლოგია
- უსაფრთხოების სწავლებები
- გლობალური მმართველობა

### სადოქტორო პროგრამები

- პოლიტიკის მეცნიერებები
- მასობრივი კომუნიკაცია



**25-31**

## სამართალი

### საბაკალავრო პროგრამები
- სამართალმცოდნეობა

### სამაგისტრო პროგრამები
- სამართალი
- სამართალი და ეკონომიკა
- საერთაშორისო ბიზნეს სამართალი

### სადოქტორო პროგრამები
- სამართალმცოდნეობა



32-36

## ბიზნესი და ადმინისტრაციული მეცნიერებები

### საბაკალავრო პროგრამები
- ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ბიზნესის ადმინისტრირება 3-წლიანი (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ეკონომიკა
- საჯარო მმართველობა
- საჯარო მმართველობა 3-წლიანი (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ბიზნეს ანალიტიკა (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ბიზნეს ანალიტიკა 3-წლიანი (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

### სამაგისტრო პროგრამები
- ბიზნესის ადმინისტრირება (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- საჯარო მმართველობა
- ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია
- ადამიანური კაპიტალის მართვა და ციფრული ტრანსფორმაცია 1-წლიანი

### სადოქტორო პროგრამები
- ბიზნესის ადმინისტრირება



37-41

## ჯანმრთელობის მეცნიერებები

### საბაკალავრო პროგრამები
- ჯანდაცვის ადმინისტრირება
- საექთნო საქმე (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)
- ფარმაცია (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

### სამაგისტრო პროგრამები
- ფარმაციის მენეჯმენტი
- საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
- ფარმაცია

### სადოქტორო პროგრამები
- საზოგადოებრივი ჯანდაცვა

### ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები
- სტომატოლოგია (ინგლისურენოვანი)
- მედიცინა (ინგლისურენოვანი)

### სარეზიდენტო პროგრამები
- დერმატო-ვენეროლოგია
- ლაბორატორიული მედიცინა



42-49

EXCELLENTIA HUMANITAS LIBERTAS

# მეცნიერება და ტექნოლოგიები



## ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ და განავითარონ თანამედროვე კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, როგორებიცაა: კომპიუტერის პროგრამულ და აპარატურულ ნაწილებთან მუშაობა, პროგრამული კოდის შექმნის, კომპიუტერული ქსელის დაგეგმარებისა და მართვის, მონაცემთა ბაზებთან მუშაობის, ვებ-გვერდების შექმნის, საინფორმაციო ტექნოლოგიებში სერვისისა და უსაფრთხოების მართვის ამოცანების გადაწყვეტის უნარები.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან: უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის საფუძვლებს, პროგრამირების ენებს (C++, C#, Java, Phyton), ოპერაციულ სისტემებს (Windows, Linux, Android, IOS), საოფისე სისტემებს, კომპიუტერის არქიტექტურას, კომპიუტერულ ქსელებს (Cisco, MikroTik), მონაცემთა ბაზების სისტემებს (Oracle, MS SQL); ასევე ვებტექნოლოგიების, გეოინფორმაციული სისტემების, საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მენეჯმენტის, მობილური აპლიკაციებისა და კიბერ-უსაფრთხოების საკითხებს.

პროგრამაში ინტეგრირებულია საერთაშორისო აკადემიები როგორიცაა: Cisco Academy, Microsoft Academy, Oracle Academy, PaloAlto Academy, MicroTik Academy, Apple Education Academy რომელთა კურსებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის სრულიად უფასოდ და საბაკალავრო საფეხურის დასრულების შემდეგ, ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ შესაბამისი სერტიფიკატი.

სწავლა მიმდინარეობს თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიულ და აუდიტორულ ოთახებში, როგორებიცაა: IDEALAB, Academy 77, UG Lemondo და სხვა.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ როგორც ადგილობრივ, ისე მსოფლიო ბაზარზე, ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, რაც მოიცავს ქსელის ადმინისტრირებას, ბაზების მართვას, კიბერუსაფრთხოებას, ხელოვნურ ინტელექტსა და პროგრამირებას ვებისა და თამაშების შექმნის მიმართულებით, საბანკო, სახელმწიფო და კერძო სექტორებში.

## მათემატიკის საბაკალავრო პროგრამა

მათემატიკის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ  მათემატიკის სხვადასხვა დარგის (მათემატიკური ანალიზის, ჩვეულებრივი და კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებების, ანალიზური გეომეტრიის, ალბათობის თეორიისა და მათ. სტატისტიკის, ალგებრის, ლოგიკის, კომპლექსური ანალიზის, ნამდვილი ცვლადის ფუნქციათა თეორიის, ოპტიმიზაციის მეთოდების, რიცხვითი მეთოდებისა და მათემატიკური მოდელირების) საფუძვლების, დაპროგრამების საფუძვლების, საოფისე სისტემების ცოდნა, შეეძლებათ მათემატიკის სხვადასხვა დარგში წარმოქმნილი პრობლემების შესწავლა, ანალიზი და ექნებათ შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ მეცნიერების, ბიზნესის სფეროში, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოთხოვნადია ანალიტიკური აზროვნება და სხვადასხვა მათემატიკური მეთოდების გამოყენება.



## ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის მიზანია, მოამზადოს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტი თანამედროვე კომპიუტერული და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით, კურსდამთავრებულს მისცეს შესაბამისი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, მათ შორის, უმაღლესი მათემატიკისა და ფიზიკის საფუძვლების, კომპიუტერის არქიტექტურის, კომპიუტერული ქსელის, მონაცემთა ბაზის, ვებ-ტექნოლოგიების, გეოინფორმაციული სისტემის, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროექტების მართვის, ხელოვნური ინტელექტისა და კიბერუსაფრთხოების საფუძვლების ცოდნა.

პროგრამაში ინტეგრირებულია საერთაშორისო სასერტიფიკატო კურსები, როგორიცაა Cisco, Microsoft, Oracle, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ კვალიფიკაციის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატები.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში მონაცემების კომპიუტერული დამუშავებისა და პროგრამული უზრუნველყოფის, კომპიუტერული ქსელის, კიბერ უსაფრთხოების, მობილური აპლიკაციებისა და თამაშების შექმნის სპეციალისტებად და ვებ-დიზაინერებად.

## ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს ელექტრონული და კომუნიკაციების ინჟინერიის განვითარებას კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კონკურენტული უმაღლესი განათლება.

პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ექნება საფუძვლიანი საინჟინრო უნარები ელექტრონიკის, კომპიუტერული ინჟინერიისა და კომუნიკაციის მიმართულებით; ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიებში, სისტემებისა და პროცესების პროექტირებისა და რეალიზების, მარტივი პროგრამული კოდის შედგენის, სხვადასხვა საინჟინრო და მათემატიკური ამოცანის ანალიზისა და ტექნოლოგიური აზროვნების უნარი.

პროგრამაში დამატებითი შეთავაზებების სახით ინტეგრირებული საერთაშორისო სასერტიფიკაციო კურსები, როგორიცაა Cisco, Microsoft, Oracle Academic, iOS სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ: ელექტრონულ, კომპიუტერულ, სატელეკომუნიკაციო და ენერგეტიკულ კომპანიებში, სამთავრობო ორგანიზაციებში, ბანკებსა და სხვა კერძო კომპანიებში, სადაც აუცილებელია ელექტრონული ინჟინერიის სპეციალისტის კომპეტენცია.



## კომპიუტერული ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა
(ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს კომპიუტერული ინჟინერიის განვითარებას კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით, რომლებსაც ექნებათ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კონკურენტული უმაღლესი განათლება და უნარები.

საბაკალავრო პროგრამა მოწოდებულია სტუდენტს ჩამოუყალიბოს საფუძვლიანი საინჟინრო უნარები ელექტრონიკის, კომპიუტერული ინჟინერიისა და კომუნიკაციის მიმართულებით. მისცეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ცოდნა საინფორმაციო ტექნოლოგიებში, სისტემებისა და პროცესების პროექტირებისა და რეალიზების, მარტივი პროგრამული კოდის შედგენის, სხვადასხვა საინჟინრო და მათემატიკური ამოცანის ანალიზისა და ინოვაციური ტექნოლოგიური აზროვნების უნარი.

პროგრამაში დამატებითი შეთავაზებების სახით ინტეგრირებულია საერთაშორისო სასერტიფიკაციო კურსები, როგორიცაა Cisco, Microsoft, Oracle Academic, iOS სასწავლო კურსები და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატები.

პროგრამის კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ დასაქმდნენ ელექტრონულ, კომპიუტერულ, სატელეკომუნიკაციო და ენერგეტიკულ კომპანიებში, სამთავრობო ორგანიზაციებში, ბანკებსა და სხვა კერძო კომპანიებში, სადაც კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალისტის კომპეტენციაა საჭირო.

## სამოქალაქო ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

სამოქალაქო ინჟინერიის პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მიაწოდოს ყოვლისმომცველი განათლება სამოქალაქო ინჟინერიის საფუძვლებსა და მისი აპლიკაციებსა და დიზაინში, რათა ისინი მოამზადოს პროფესიონალებად, რომლებიც შეძლებენ ეფექტურად გაუმკლავდნენ მომავლის ტექნიკურ და სოციალურ გამოწვევებს.

სასწავლო პროგრამა მოიცავს ოთხ ძირითად ტექნიკურ სფეროს: სტრუქტურულ ანალიზსა და დიზაინს, მასალებსა და მშენებლობას, წყალსა და გარემოს, მენეჯმენტსა და საინჟინრო ეკონომიკას.

კურსდამთავრებულები დასაქმდებიან კომპიუტერულ, ენერგეტიკულ კომპანიებში, ყველა იმ სამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციაში, რომელსაც კავშირი აქვს საინჟინრო სფეროსთან.



## ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამა
(ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ინფორმაციული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, სტუდენტებს მისცეს სიღრმისეული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში.

კურსი მოიცავს: კომპიუტერულ სისტემებსა და ქსელებს (Cisco CCNP სერტიფიკატი), ვებ და ქსელურ პროგრამირებას, მონაცემთა ბაზებს (Oracle სერტიფიკატი), მობილურ აპლიკაციებს, ERP სისტემებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებში ლოგიკურ-ალბათურ და გრაფიკული გარდაქმნების მეთოდებს.

პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ექნება, გახდეს დარგის ლიდერი, რომელსაც შეუძლია წარმატებით გაუმკლავდეს ტექნოლოგიურ გამოწვევებს და შექმნას მომავლის ინოვაციები.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ: კვლევით დაწესებულებებში, ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში IT მენეჯერებად, ვებ, ქსელის ან მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორებად.



## წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამა

წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს თანამედროვე მათემატიკური მეთოდების და მოდელების სიღრმისეული შესწავლა და ანალიზი, მათი გამოყენება სხვადასხვა დარგის თეორიული და პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტაში.

პროგრამა ამზადებს კონკურენტუნარიან და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს, რომლებსაც შეეძლებათ დასაქმება როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში.

## ბლოკჩეინი-დეცანტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამა

ბლოკჩეინი-დეცენტრალიზებული ინფორმაციული სისტემების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, როგორც ლოკალური, ასევე გლობალური ბაზრისთვის თანამედროვე, კონკურენტუნარიანი, მაღალი რანგის სპეციალისტების ფორმირება, რომლებიც მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციისა და კრიპტო-ეკონომიკის კონტექსტში, უახლესი ტექნოლოგიებისა და მიდგომების სისტემური სინთეზის გზით შექმნიან და განავითარებენ თანამედროვე გამოწვევებზე ორიენტირებულ ტექნოლოგიურ გადაწყვეტებს, ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ დეცენტრალიზებულ ინფორმაციულ სისტემებსა და სერვისებს.

პროგრამა ორიენტირებულია, საქართველოში ხელი შეუწყოს უახლესი ტექნოლოგიების და მათი გამოწვევის სწრაფ განვითარებას, IT სფეროში ექსპერტიზისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდასა და ქვეყნის გლობალური ციფრული საზოგადოების რეგიონულ ლიდერად ფორმირებას.

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთ IT მიმართულებით, საჯარო თუ კერძო სექტორში, პროგრამისტებად, კონსულტანტ/ სისტემის ანალიტიკოსებად და IT მენეჯერებად.



## გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამა

გამოყენებითი მეცნიერებების სამაგისტრო პროგრამის მიზანია გამოყენებითი მეცნიერებების დარგებში უზრუნველყოს კონკურენტული და მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ფიზიკის/ მათემატიკის/ ინფორმაციული და კომპიუტერული ტექნოლოგიების ღრმა თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები. კურსდამთავრებულები შეძლებენ კვლევებში მონაწილეობას, კრეატიულ აზროვნებას და ექნებათ შესაბამისი სპეციალობის დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა.

კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით, მარკეტინგულ, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევებისა და სიღრმეების ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები.

## ნაწილაკების ექსპერიმენტული ფიზიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაწილაკების ექპერიმენტული ფიზიკის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მაგისტრანტებს მისცეს ნაწილაკების ფიზიკის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც გამყარებულია პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებით და აგრეთვე შესაბამისობაშია მოყვანილი იმ მოთხოვნებთან, რომლებიც მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში (როგორიცაა, მაგალითად, CERN, FZJ, GSI) მაღალი ენერგიების ფიზიკის მიმართულებით მიმდინარე კვლევით პროექტებში ახალგაზრდების ჩართვას სჭირდება.

კურსდამთავრებულებს ექნებათ კომპეტენცია სწავლა გააგრძელონ შემდეგ საგანმანათლებლო საფეხურზე, ჩაერთონ დარგის შესაბამის საგანმანათლებლო საქმიანობაში და დასაქმდნენ კვლევით ცენტრებსა და ლაბორატორიებში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

## ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის პროგრამის მიზანია, მოამზადოს საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის მქონე სპეციალისტები ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად მართვის, პროგრამული უზრუნველყოფის დაგეგმვის, შემუშავების და დანერგვის მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული საგნები სტუდენტებს მისცემს მყარ თეორიულ ცოდნას ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის მეთოდების ათვისებისა და შემუშავებისთვის, განუვითარებს პროგრამული უზრუნველყოფის მეთოდოლოგიების ანალიზისა და ამ ანალიზის შესაბამისად ოპტიმალური მიდგომის სინთეზირების უნარებს.

კურსდამთავრებულს შეეძლება ეფექტურად დაგეგმოს თავისი საქმიანობა გრძელვადიან პერსპექტივაში; ასევე ოპერატიულად გადაჭრას არსებული ტაქტიკური პრობლემები და უწყვეტად განავითაროს და გაიღრმაოს ცოდნა ახალ ტექნოლოგიებში, რომელსაც შემდეგ არსებითად დაეყრდნობა თავის საქმიანობაში.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ: კვლევით დაწესებულებებში, ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებში, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერებად, პროგრამისტებად, ქსელის ადმინისტრატორებად, მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორებად ან ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის შემდეგი პრაქტიკების მენეჯერებად: ცვლილებების მენეჯერი, კონფიგურაციის მენეჯერი, სერვის მენეჯერი, ბიზნეს ურთიერთობის მენეჯერი, პრობლემების მენეჯერი და ინციდენტების მენეჯერი. საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის შესწავლა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტშია  შესაძლებელი.







## ფიზიკის სადოქტორო პროგრამა

ფიზიკის სადოქტორო პროგრამის მიზანს წარმოადგენს დოქტორანტისთვის სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარება სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის მიზნით. ასევე, მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევის წარმოება და ახალი ცოდნის შექმნა ფიზიკასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში

## მათემატიკის სადოქტორო პროგრამა

მათემატიკის სადოქტორო პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს, დოქტორანტის ჩამოყალიბებას მაღალი სამეცნიერო ღირებულებების მქონე მეცნიერად, რომელსაც ექნება დარგის უახლესი მიღწევების ცოდნა და შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს ორიგინალური სამეცნიერო კვლევები წმინდა და გამოყენებითი მათემატიკის სხვადასხვა მიმართულებით.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ: საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კვლევით კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში, მაღალტექნოლოგიურ ორგანიზაციებში, სადაც მოითხოვება თანამედროვე მეცნიერული და ანალიტიკური აზროვნება, დარგის უახლესი მიღწევების და სიღრმეების ცოდნა, პრობლემის მეცნიერული გადაჭრის, სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის უნარები.

## კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო პროგრამის

პროგრამის მიზანია, სამეცნიერო კვლევის წარმოება და ახალი ცოდნის შექმნა კომპიუტერული მეცნიერებების დარგში; ასევე სამეცნიერო კვლევის უნარ-ჩვევების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის მიზნით.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ ან სამეცნიერო პოზიციებზე, კერძო და სახელმწიფო სტრუქტურებში ანალიტიკურ, IT მენეჯერული და კომპანიის განმავითარებელი საქმიანობის ჯგუფებში

# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### BLOCKCHAIN-LAB

ლაბორატორიის მიზანია საქართველოში დანერგოს და განავითაროს ახალი ციფრული ტექნოლოგიები, განავრცოს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები განათლებასა და სხვადასხვა პრაქტიკულ სფეროებში. საქართველოს უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელმაც დაიწყო BlockChain ტექნოლოგიის დანერგვა საკუთარ სივრცეში. BlockChain-Lab-ი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო კურსებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.

### კიბერუსაფრთხოების კვლევითი ცენტრი

ცენტრის მიზანია ქვეყანაში ინტერნეტისა და ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარება, ინტერნეტ რეგულაციების მოწესრიგება და მოცემული მიმართულებით არსებული საუკეთესო გამოცდილებების შესწავლა, კვალიფიციური კადრების მომზადება, აღზრდა და პროფესიული განვითარება, აკადემიურ დონეზე სწავლება და კვლევების ჩატარება. ცენტრში ხორციელდება ინტერნეტ-ტექნოლოგიების პროცესების შესწავლა და კვლევა, ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, როგორც სამთავრობო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის.

### UG ლემონდო

ლაბორატორიის მიზანია საქართველოში დანერგოს და განავითაროს ახალი ციფრული ტექნოლოგიები, განავრცოს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები განათლებასა და სხვადასხვა პრაქტიკულ სფეროებში. საქართველოს უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტია საქართველოში, რომელმაც დაიწყო BlockChain ტექნოლოგიის დანერგვა საკუთარ სივრცეში. Block-Chain-Lab-ი სტუდენტებს სთავაზობს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო კურსებს საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.

### ACADEMY 77

აკადემია მოიცავს საერთაშორისო აკადემიებს: Cisco Academy, Oracle Academy, Microsoft Academy & Mikrotik Academy, რომლის ფარგლებში მსმენელს შეუძლია გაიაროს მისთვის სასურველი სასერტიფიკატო კურსები:

- MS Office
- მონაცემთა ბაზები (Oracle, MS SQL, PL/SQL)
- Web დეველოპმენტი (HTML, CSS, Javascript, PHP)
- დაპროგრამების ენა - Java
- კომპიუტერული ქსელები (CCNA)
- გეოინფორმატიკა (ArcGIS, MapInfo)
- ბლოკჩეინ ტექნოლოგიის საწყისი კურსი

### ICT ლაბორატორია

ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორია სტუდენტს საშუალებას აძლევს პრაქტიკულად შეისწავლოს ინფორმაციის დამუშავების (კოდირება, გადაცემა, მიღება და დეშიფრაცია) თანამედროვე მეთოდები. მხოლოდ ამ ლაბორატორიაში ხდება თანამედროვე 4G, 5G და ახლა უკვე 6G ტექნოლოგიების შესწავლა.

### IDEALAB-ელექტრონიკის ლაბორატორია

IDEALAB-ში ყველა დაინტერესებულ ახალგაზრდას, აბიტურიენტს, სტუდენტს შეუძლია მოიტანოს საინტერესო იდეა და მისი განხორციელებისთვის გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები. იდეების ლაბორატორიაში შექმნილია მოხერხებული სამუშაო სივრცე. ლაბორატორია აღჭურვილია ელექტრონული ინჟინერიის თანამედროვე აპარატურითა და ინვენტარით. მსურველებს აქ დახვდებათ 3D პრინტერი, ლაზერული მჭრელი, CNC დანადგარი, ოსცილოგრაფი, სიგნალების გენერატორები, მულტიმეტრები, Ardunio და Raspberry მოდულები, სხვადასხვა ტიპის სენსორები.

### საერთაშორისო აკადემია

აწარმოებს სამეცნიერო კვლევებს ერთიანი ჯანმრთელობის სფეროში, რომლებიც ძირითადად მოიცავენ ინფექციური აგენტების პოპულაციური სტრუქტურების, მათი ევოლუციური დივერგენციის და ანტიმიკრობული რეზისტენტობის მოლეკულურ-გენეტიკური მექანიზმების შესწავლას.

## საერთაშორისო აკადემია

საქართველოს უნივერსიტეტი პირველი საგანმანათლებლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელმაც დაამყარა კავშირი Oracle Corporation-თან საგანმანათლებლო კუთხით და დააარსა Oracle Academy. აკადემია შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს გაიარონ კურსები და მიიღონ საერთაშორისო სერტიფიკატები. საქართველოს უნივერსიტეტი ჩართულია MikroTik-ის აკადემიების ქსელში, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს კურსის დამთავრების შემდეგ აიღოს MTCNA-ის საერთაშორისო სერტიფიკატი. საქართველოს უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელიც ჩართულია Microsoft IT Academy პროგრამაში. ყველა სტუდენტს დამატებითი საზღაურის გადახდის გარეშე შეუძლია აიღოს Microsoft-ის სერტიფიკატები, გამოცდების ონლაინ სისტემით წარმატებით ჩაბარების შემდეგ. Zend Technologies მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა ვებ-ტექნოლოგიებში. აღნიშნულ კომპანიას ევროპისა და აშშ-ს მასშტაბით ბევრ ქალაქში ჰყავს წარმომადგენლობა. სამხრეთ კავკასიის რეგიონში კი პირველად საქართველოს უნივერსიტეტმა დაამყარა ურთიერთობა ამ კომპანიასთან.

## ინფორმატიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტის მიზანია, უნივერსიტეტის ფარგლებში ხელი შეუწყოს სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას კომპიუტერულ მეცნიერებასა და ინფორმატიკაში. ინსტიტუტის დანიშნულებაა დასახელებული მიმართულებით ფუნდამენტური კვლევების, საკონსულტაციო, საექსპერტო და საპროექტო საქმიანობის განხორციელება, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში თანამშრომელთა მონაწილეობის ხელშეწყობა, სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.



## მათემატიკის ინსტიტუტი

ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ეფექტურად წარმართვას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სამეცნიერო კადრების მომზადებას წმინდა გამოყენებით მათემატიკასა და მექანიკაში. ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ევროპის მრავალ სამეცნიერო ცენტრთან და წარმატებით ახორციელებს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებთან სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე.

## ICT ინსტიტუტი

ინსტიტუტის მიზანია გააძლიეროს უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალი, კერძოდ: ინფორმაციის დამუშავების, გადაცემისა და მართვის, კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიების სფეროში, ხელოვნური ინტელექტის მეთოდების გამოყენებით. ხელი შეუწყოს მეცნიერებაზე დაფუძნებულ სწავლებას და თავისი საქმიანობით აამაღლოს უნივერსიტეტის ცნობადობა და მისი რეიტინგი საერთაშორისო სასწავლო-სამეცნიერო წრეებში.

## საინჟინრო ფიზიკის ლაბორატორია

აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიული დანადგარებით (Pasco, National Instruments). ასევე, შექმნილია უნიკალური ლაბოლატორიული დანადგარები, რომლებიც იმართება LabView-ს მეშვეობით. ინჟინერიის ლაბორატორიაში სტუდენტებს საშუალება აქვთ შეისწავლონ ინჟინერიის საფუძვლები და ზოგადად ფიზიკის კანონები უშუალოდ ცდებზე დაკვირვებით. ლაბორატორია მოიცავს მექანიკის, ელექტრობისა და მაგნეტიზმის, ოპტიკისა და რადიოტექნიკის ამოცანების გადაწყვეტას. ლაბორატორიაში სტუდენტებს შეუძლიათ თავად შეიმუშაონ და შექმნან დანადგარები საკუთარი იდეების მიხედვით და LabView-ს მეშვეობით განახორციელონ ამ დანადგარების პროგრამული მართვა.

# ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები



## ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეძლებენ შეისწავლონ ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია, განივითარონ ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარი.

სწავლების პროცესში სტუდენტები გაეცნობიან ქართული ენის ევოლუციას, ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეტაპებს და ფოლკლორისა და მითოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს ინტერდისციპლინარული პროგრამა აკავშირებს ქართულ ლიტერატურასა და კულტურას ევროპულ ცივილიზაციასთან, ხელს უწყობს მეცნიერული მთლიანობის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულებას.

ქართული ფილოლოგიის ბაკალავრი შეძლებს დასაქმდეს მასმედიასა და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევები კურსდამთავრებულს არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლისა და შემდგომი კარიერული წინსვლის საშუალებასაც აძლევს.

## ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სწავლებას და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადებას დარგის ფართო ცოდნით.

სტუდენტებს შეეძლებათ გაითავისონ ლინგვისტური სირთულეები, საფუძვლიანად გაეცნონ ინგლისურ და ამერიკულ ლიტერატურას, შეივსონ ლექსიკური მარაგი და გახდნენ გამოცდილი კომუნიკატორები; შეისწავლონ ინგლისური ენის ისტორია და სტრუქტურა, გაიგონ მეტი მისი განვითარების შესახებ და ნახონ როგორ აყალიბებს ენა საზოგადოებას. პროგრამის ფარგლებში შეძლებენ აითვისონ მეორე ევროპული ენა და გაიფართოვონ საკუთარი შესაძლებლობები გლობალურად.

პროგრამაზე სწავლისას შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულებს აძლევენ დასაქმების მრავალფეროვან შესაძლებლობას: აკადემიური სწავლება, საერთაშორისო ურთიერთობები, თარგმნა, მასობრივი კომუნიკაციები და ჟურნალისტიკა, ტურიზმი და სხვა ისეთი სფერო, სადაც არსებობს მოთხოვნა ინგლისურენოვან კომუნიკატორზე.



## ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

ხელოვნებათმცოდნეობის ინტერდისციპლინარული პროგრამა ხელს უწყობს კრიტიკულ და კრეატიულ აზროვნებას, სტუდენტებს სთავაზობს ყოვლისმომცველ შეხედულებებს ხელოვნების ისტორიასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. პროგრამა მოიცავს დარგის ფართო ცოდნას და ბაკალავრის მომზადებისას ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნებს.

ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს სამხატვრო გალერეებში, სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებებში მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ხელოვნების აუქციონებზე, ხელოვნების ნიმუშების დაცვის, რესტავრირების ან შეფასების საკითხებზე მომუშავე სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში.

დამატებითი სპეციალობის ალტერნატივად სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს საგანთა კონცენტრაცია კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტში, რომელიც განაპირობებს არა მარტო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მუშაობის, არამედ მისი მართვის უნარების გამომუშავებას, რაც დღეს ძალიან მოთხოვნადია შრომის ბაზარზე.



## ისტორიის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი ისტორიის მეცნიერებებში, მისცეს მას ფართო ცოდნა საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესახებ უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.

ჩამოაყალიბოს მაღალი სოციალური ცნობიერებისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქე, რომელიც მზად იქნება განსხვავებული კულტურების გაგებისა და პატივისცემისათვის; მოქნილი ინდივიდი, ანალიტიკური, კრიტიკული და კომუნიკაციური უნარებით, რაც მნიშვნელოვანია ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებისთვის.

ისტორიის ბაკალავრი შეძლებს დასაქმდეს მომსახურებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში: საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, დარგის შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, არქივები, მუზეუმები, ტურიზმისა და ზოგადსაგანმანათლებლო სფერო (კერძო და საჯარო სკოლები), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.



## არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ისტორიული და თანამედროვე არქიტექტურული ტენდენციების შერწყმით, სტუდენტები სწავლობენ არქიტექტურული დაგეგმარების, ურბანული განვითარებისა და დიზაინის მეთოდოლოგიის საფუძვლებს.

პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, სტუდენტებს შეასწავლის საცხოვრებელი და მრავალფუნქციური შენობების დიზაინს, ლანდშაფტისა და რეკრეაციული სივრცის მართვას და 3D არქიტექტურული მოდელების შექმნას მოწინავე პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით. კურსდამთავრებულები შეძლებენ კონცეპტუალურად მიუდგნენ თანამედროვე დიზაინის გამოწვევებს და განახორციელონ პროექტები საკანონმდებლო სტანდარტებისა და პროფესიული ეთიკის შესაბამისად.

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმების მრავალფეროვანი შესაძლებლობა აქვთ: საცხოვრებელი, კომერციული და საზოგადოებრივი შენობების შექმნით დაკავებული სამშენებლო კომპანიები და არქიტექტურული დიზაინის სტუდიები, ურბანული დაგეგმარებისა და განვითარების ორგანიზაციები, აღდგენასა და კონსერვაციაზე ფოკუსირებული კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებები სამთავრობო უწყებები, ლანდშაფტის არქიტექტურასა და უძრავი ქონების მართვაზე ორიენტირებული კერძო კომპანიები.

## აღმოსავლეთმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის მიზანია მოამზადოს ახლო ან/და შუა აღმოსავლეთის კვლევების კვალიფიციური სპეციალისტი. არაბულ, სპარსულ ან თურქულ ენებზე სიღრმისეული სწავლებით, სტუდენტები შეიძენენ როგორც ენობრივ გამოცდილებას, ასევე სხვადასხვა კულტურათა ცოდნას.

აღმოსავლეთმცოდნეობის პროგრამის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ისტორიას, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ ასპექტებს, რელიგიურ სისტემებს, კულტურულ, პოლიტიკურ ტენდენციებსა და სხვადასხვა ტიპის კონფლიქტის განმაპირობებელ ფაქტორებს. პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს პროფესიით დასაქმდეს სხვადასხვა პრესტიჟულ პოზიციაზე საჯარო სამსახურში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამეცნიერო – კვლევით ინსტიტუტებში, კურსდამთავრებული შეძლებს იყოს მოხელე საგარეო ურთიერთობების მიმართულებით კერძო თუ სახელმწიფო სავაჭრო/ეკონომიკური წარმომადგენელი, მაკრო და მიკროეკონომიკური საერთაშორისო კომპანიების ექსპერტი.

## არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს თანამედროვე სტანდარტებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული უნარების მქონე არქეოლოგები, რომელთაც სურთ სფეროს განვითარება და პროფესიული წარმატების მიღწევა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას გათხრების, არტეფაქტების ანალიზსა და კონსერვაციაში, კულტურული მემკვიდრეობის მართვის მოწინავე მოდულების მხარდაჭერით.

არქეოლოგიის პროგრამის ბაკალავრი შეძლებს დასაქმდეს არქეოლოგიურ ექსპედიციებში, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში (ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), მუზეუმებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, შესაბამისი სფეროს სხვა სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში.

სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის ან საგანთა/მოდულის კომბინაცია ძირითად სპეციალობასთან აფართოებს მისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების გამოყენების არეალს და მას დასაქმების დამატებით შანსს აძლევს.





## ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამა

ქართული ცეკვის ან მსოფლიო ხალხთა ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის საბაკალავრო პროგრამა აერთიანებს შემოქმედებითობას, ისტორიას და ტექნიკურ ოსტატობას. პროგრამა განკუთვნილია დამწყები ქორეოგრაფებისთვის, შემსრულებლებისთვის და მკვლევრებისთვის, რომელთაც სურთ მიიღონ ღრმა ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო საცეკვაო ტრადიციების შესახებ.

სტუდენტები შეისწავლიან ქართული ცეკვებისა და მსოფლიო ხალხური ცეკვების უნიკალურ ხასიათსა და სტილს, შეიძენენ გამოცდილებას ინსცენირების, რეპეტიციებისა და ქორეოგრაფიული ნაწარმოებების შესრულებაში. კომპოზიციაში, მოძრაობის დინამიკასა და დრამატურგიაში პრაქტიკული ტრენინგით, განივითარებენ ქორეოგრაფიის უნარებს.

ქართული ცეკვისა და მსოფლიო ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ მრავალფეროვანი კარიერული შესაძლებლობები საშემსრულებლო ხელოვნებაში, კულტურისა და განათლების სფეროში. მათ შეუძლიათ შეუერთდნენ ნაციონალურ ცეკვის ანსამბლებს, ფოლკლორულ დასებს ან თეატრალურ წარმოდგენებს, როგორც ქორეოგრაფები, შემსრულებლები ან დამდგმელი რეჟისორები.

## ქართული ტრადიციული მუსიკის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს აღმოაჩინონ საქართველოს მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობა, შეიძინონ ქართული ტრადიციული მუსიკის შესახებ მრავალფეროვანი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა, ინფორმაცია მიიღონ მუსიკის თეორიის და ტრადიციული ქორეოგრაფიული ხელოვნების შესახებ.

პროგრამა ეფუძნება სტუდენტზე მორგებულ, კომპლექსურ, ინტერდისციპლინურ სწავლებას ქართული ტრადიციული მუსიკის ორივე სფეროში – გალობასა და ხალხურ მუსიკაში. პროგრამის აკადემიურ პერსონალს საშემსრულებლო, სწავლებისა და კვლევის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ქართული ხალხური სიმღერის, გალობის სწავლება ეყრდნობა ტრადიციული მუსიკის საშემსრულებლო, კილოურ და ინტონაციურ საფუძვლებს, რის დაუფლებასაც ხელს უწყობს აუთენტური შემსრულებლობის აუდიოჩანაწერების გამოყენება, ხოლო ბოლო სემესტრში – ექსპედიცია და ტრადიციულ შემსრულებლებთან პრაქტიკის გავლა.

პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ კარიერული შესაძლებლობების ფართო სპექტრი, ბაკალავრებს შეუძლიათ შეუერთდნენ პროფესიულ ფოლკლორულ ჯგუფებს, გახდნენ მუსიკის მასწავლებლები სკოლებსა და უნივერსიტეტებში, გააზიარონ თავიანთი გამოცდილება კულტურის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებში, იყვნენ მუსიკალური ფესტივალების ორგანიზატორები და კურატორები, გახდნენ დამოუკიდებელი შემსრულებლები თუ გუნდის ხელმძღვანელები.



## არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური, არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე სტანდარტების მცოდნე, არქეოლოგიური ექსპედიციის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალის ჩამოყალიბებას.

პროგრამაში ჩართული სპეციფიკური მოდულების (ქვისა და ბრინჯაოს ხანა, ანტიკური ეპოქა, ქალკოლითი და ნეოლითი) არჩევის შესაძლებლობა მაგისტრანტს უღრმავებს პროფესიულ ცოდნას კონკრეტული მიმართულებით, ხოლო პროგრამაში ჩართული აკადემიური რესურსისა და სასწავლო კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის შესაძლებლობას გააგრძელოს სწავლა სადოქტორო საფეხურზე შესაბამისი ან მომიჯნავე (კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტი, პალეონტოლოგია, ანთროპოლოგია) სპეციალობით.

პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბებული კომპეტენციები კურსდამთავრებულს აძლევს დასაქმების შესაძლებლობას სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, მუზეუმებსა თუ კულტურული მემკვიდრეობის პრობლემებზე მომუშავე სხვა საჯარო და/ან კერძო სტრუქტურებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

# საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა

საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც ისტორიის თანამედროვე მეთოდოლოგიების და უახლესი კვლევების საფუძველზე შეძლებენ დამოუკიდებელი კვლევების განხორციელებას და პროფესიულ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში.

პროგრამა მოიცავს საქართველოს ისტორიის ძირითად პერიოდებს, მის სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. სტუდენტები შეისწავლიან: საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან მოვლენებს და პროცესებს, ქართული ისტორიული აზრის ფორმირებისა და განვითარების ეტაპებს, ისტორიის კვლევის მეთოდებს, წყაროთმცოდნეობას და ისტორიოგრაფიას, ქართული და უცხოური ისტორიული დოკუმენტების ანალიზის მეთოდებს, ისტორიის სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებს და კვლევით ინსტრუმენტებს.

ისტორიის მაგისტრი შეძლებს სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, დოქტურანტურაში ან/და დასაქმდეს მომსახურებასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროში: სხვადასხვა პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ბიბლიოთეკები, საჯარო სამსახური, ადგილობრივი, რეგიონული ადმინისტრაციები, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, არქივები, მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის  დაცვის ეროვნული სააგენტო, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ტურიზმისა და მასმედიის სფერო, გამომცემლობები და სხვა.



## ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ქართული ენის სტრუქტურას და ისტორიას, განივითარებენ ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების უნარს, გამოიკვლევენ ქართული ენის ევოლუციას, ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითად ეტაპებს და ფოლკლორისა და მითოლოგიის ფუნდამენტურ პრინციპებს. ეს ინტერდისციპლინარული პროგრამა აკავშირებს ქართულ ლიტერატურასა და კულტურას ევროპულ ცივილიზაციასთან, ხელს უწყობს მეცნიერული მთლიანობის, სამოქალაქო პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული იდეალებისადმი ერთგულებას.

ქართული ფილოლოგიის მაგისტრი შეძლებს დასაქმდეს მასმედიასა და საგამომცემლო სფეროში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. ფართო ჰუმანიტარულ-ფილოლოგიური განათლება და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჩვევები კურსდამთავრებულს არა მხოლოდ ქართული ფილოლოგიის, არამედ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა პროფილით სწავლის და შემდგომი კარიერული წინსვლის საშუალებასაც აძლევს.



## ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის მიზანია განუვითაროს სტუდენტს თანამედროვე ფილოლოგიის ძირითადი დარგების, მიმდინარეობების, თეორიების, აზროვნების პარადიგმების, ძირითადი თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების ჰოლისტიკური ხედვა. მაგისტრი შეძლებს თეორიული ცოდნის პრაქტიკული ღირებულების გაცნობიერებას და ცოდნის ტრანზიციას პროფესიული თუ სამეცნიერო კარიერის განვითარების გზაზე.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს სპეციალისტებს, რომლებიც შეძლებენ მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას კულტურათა დიალოგისა და საქართველოს ინგლისურენოვან ქვეყნებთან ინტეგრაციის პროცესში. მაგისტრს შეუძლია დასაქმდეს ადგილობრივ თუ საერთაშორისო დაწესებულებებში, დიპლომატიურ სამსახურში, კერძო ბიზნეს კომპანიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

## განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტებს თანამედროვე, კომპლექსური და დინამიური დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის ფოკუსი–განათლების ხარისხის უზრუნველყოფა და მართვაა, თუმცა მიღებული ცოდნა და უნარები საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს წარმატებით იმუშაონ ნებისმიერ სფეროში, სადაც ხარისხი პრიორიტეტია.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების უნიკალურ კომბინაციას–სწავლების პროცესში ისწავლება თანამედროვე მენეჯმენტის მეთოდები, რაც იძლევა განვითარების პრაქტიკულ უნარებს; სპეციალიზაციის მოდულების ლოგიკურ და მიზანმიმართულ კომბინაციას–სწავლების მოქნილი სტრუქტურა იძლევა ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, დაინტერესებულ პირებზე მორგებულ მიმართულებებში.

პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების ფართო პერსპექტივა–საგანმანათლებლო დაწესებულებებში, კერძო თუ საჯარო სექტორში, ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერ სამსახურში.



## განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს საგანმანათლებლო სისტემის მმართველობის, ლიდერობის, პედაგოგიური საკითხებისა და გამოწვევების შესახებ თანამედროვე ცოდნა და პროფესიული უნარები.

პროგრამა უზრუნველყოფს, თეორიულ საკითხებთან ერთად, თანამედროვე პრობლემატიკით გაჯერებული პრაქტიკული ქეისებით სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულს სრულყოფილად შეითავსოს განათლების საკითხებზე ან განათლების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მართვის ფუნქციები.

კურსდამთავრებულს ექნება საგანმანათლებლო საკითხებისა და სპეციალობის სიღრმისეული ცოდნა, რაც მას მიმზიდველს ხდის დამსაქმებელთა ფართო სპექტრისთვის. პროგრამა ამზადებს მომავალ ლიდერს, რომელსაც შეეძლება მუშაობა მენეჯერულ პოზიციაზე ისეთ სფეროებში, როგორიცაა, საშუალო და უმაღლესი განათლება როგორც ეროვნულ ისე საერთაშორისო დონეზე; განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო, ასევე კერძო საკონსულტაციო და ტრენინგ ორგანიზაციებში, ან შეეძლება სწავლის გააგრძელება შემდეგ აკადემიურ საფეხურზე, დოქტორანტურაში.

## ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფილოლოგიის მიმართულებით შესაბამისი კომპეტენციის მაღალკვალიფიციური პროფესიონალი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნის  პრაქტიკულ კვლევებში სრულფასოვნად და მიზნობრივად გამოყენების უნარი.

სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს ლინგვისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით ჰოლისტიკური ხედვის ჩამოყალიბებას და შესაბამისი ცოდნის და ანალიტიკის უნარებს.  დოქტორანტი შეძლებს ახალი ცოდნის გენერირებასა და დანერგვა/განვითარებას, ინოვაციური და ინტეგრატიული კვლევის განხორციელებას ფილოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე, საუნივერსიტეტო  სალექციო კურსის/კურსების მომზადებასა და წარმართვას სწავლება/შეფასების თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით.

ფილოლოგიის დოქტორს შეეძლება დასაქმდეს იმ სამეცნიერო–კვლევით დაწესებულებში, სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, რომელთა საქმიანობის სფერო უკავშირდება თანამედროვე ფილოლოგიის პრობლემატიკას ან განახორციელოს  პედაგოგიური საქმიანობა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

## ისტორიის სადოქტორო პროგრამა

(საქართველოს ისტორია, ახლო აღმოსავლეთის ისტორია, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია)

პროგრამა მოამზადებს მაღალკვალიფიციურ, კონკურენტუნარიან სპეციალისტებს, როგორც საქართველოს, ასევე, უცხოეთის შრომითი ბაზრისთვის. პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება დამოუკიდებელი მკვლევარისა და ინოვაციური სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის განხორციელებისათვის, მულტიკულტურულ გარემოში სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევები. ისტორიის დოქტორი შეძლებს განახორციელოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა, რითაც ხელს შეუწყობს ისტორიის სფეროში ახალი ცოდნის შექმნასა და დანერგვას, ისტორიის დარგის განვითარებას საქართველოში, მის ინტერნაციონალიზაციასა და ინტეგრაციას საერთაშორისო აკადემიურ წრეებში.

ისტორიის დოქტორს შეუძლია დასაქმდეს როგორც მკვლევარი ან/და პედაგოგი სამეცნიერო- კვლევით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისი პროფილის სახელმწიფო და არასამთავრობო სტრუქტურებში, ორგანიზაციებში, ფონდებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, მუზეუმებში, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ტურიზმისა და მასმედიის სფეროში, გამომცემლობებში.



# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### ირანის კაბინეტი

ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს ხელშეწყობით მოწყობილი თანამედროვე სასწავლო / სამეცნიერო ლიტერატურითა და ირანული სატელევიზიო არხების ყურების შესაძლებლობით აღჭურვილია ირანის კაბინეტი, სადაც ირანისტიკის მიმართულების სტუდენტებს შეუძლიათ ქვეყნის შესახებ ცოდნისა და სპარსული ენის ფლობის ხარისხის სრულყოფა.

### თურქოლოგიის კაბინეტი

თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს ხელშეწყობით აღჭურვილი კაბინეტი და თურქულ-ენოვანი ბიბლიოთეკა, რომელიც აკადემიურ პერსონალს და თურქული ენის შემსწავლელ სტუდენტებს უქმნის კომფორტულ გარემოს თანამედროვე სასწავლოსამეცნიერო ლიტერატურით სარგებლობისა და ცოდნის სრულყოფის შესაძლებლობას.

### არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი

ახალი რესურსი - ”არქეოლოგიის საერთაშორისო ცენტრი“, რომელიც ახორციელებს აქტიურ და ეფექტურ ქმედებებს არქეოლოგიური მიმართულების პოპულარიზაციისა და კომერციალიზაციისთვის. ცენტრმა უკვე მოამზადა ტურები საქართველოს უნივერსიტეტის არქეოლოგიურ ბაზაზე სამშვილდესა და ქვეყნის სხვადასხვა არქეოლოგიურ ექსპედიციებში და მსურველებს სთავაზობს ორგანიზებულ არქეოლოგიურ ტურებს და არქეოლოგიის საზაფხულო სკოლას ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის მიზნით.

### სარა ბენ შემეშის სახელობის ისრაელის კვლევის ცენტრი

ისრაელის კვლევის ცენტრის მიზანია, ისრაელის ისტორიის, საზოგადოების, ენის, კულტურის შესწავლა და კვლევა; ქართულ საზოგადოებაში ისრაელის შესახებ ინტერესის სტიმულირება, ინფორმაციის გავრცელება და მხარდაჭერა.

ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და ისრაელში არსებულ უნივერსიტეტებთან და სხვადასხვა ინსტიტუციებთან, რაც გამოიხატება ერთობლივი პროექტებითა და ღონისძიებებით, ასევე, ქართველი სტუდენტებისა და პროფესორ მასწავლებლების ვიზიტით ისრაელში.

### არქეოლოგიის გამოფენა/ მუზეუმი

საუნივერსიტეტო მუზეუმის ოფიციალური სტატუსის მქონე არქეოლოგიური გამოფენა და ფონდსაცავი, სადაც ხდება სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული არქეოლოგიური არტეფაქტების დაცვა, მომზადება საექსპოზიციოდ და გამოფენა სამუზეუმო სივრცეში. ამავდროულად, მუზეუმი/გამოფენა გამოიყენება შესაბამისი სპეციალობის სტუდენტების პროფესიული უნარების განსავითარებლად (მასალის დამუშავება, შესაბამისი ტექსტების მომზადება, გამოფენის ორგანიზება) და ხელს უწყობს მათი პროფესიულ/პრაქტიკული ჩვევების გაძლიერებას.

### უნივერსიტეტის არქეოლოგიური ბაზა და ექსპედიციები

სამშვილდის ტერიტორიაზე უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი არქეოლოგიური ბაზა, სადაც შესაძლებელია საველე მუშაობაში ჩართული სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის განთავსება, ასევე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის პირველადი დამუშავება. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია უზრუნველყოფილია უახლესი ევროპულ-ამერიკული არქეოლოგიური იარაღ-ხელსაწყოებითა და საველე მუშაობისათვის აუცილებელი ყველა პირობით. არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებს სამშვილდის ნაქალაქარის მეცნიერულ კვლევას შესაბამისი მიმართულების (არქეოლოგია, ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, კომპიუტერული ტექნოლოგიები, ტურიზმი) სტუდენტების მონაწილეობით და წარმოადგენს მათი პროფესიულ-პრაქტიკული უნარების სრულყოფის მნიშვნელოვან ბაზას.

### UG ARCHIPROJECT

საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე მოქმედი არქიტექტურული, ინტერიერისა და ექსტერიერის დიზაინზე მომუშავე კომპანია, რომელიც მომხმარებელს უმაღლესი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ დამკვეთისგან მიღებულ შეკვეთებს პროგრამის სტუდენტები ახორციელებენ, რომლებსაც მენტორობას არქიტექტურისა და ინტერიერის დიზაინის ლექტორები უწევენ.

# სოციალური მეცნიერებები



## ჟურნალისტიკის
## საბაკალავრო პროგრამა

ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას დაეუფლონ ტრადიციული ამერიკული და ევროპული ჟურნალისტიკის პრინციპებს, ისწავლონ ახალი ამბების შექმნა, მულტიმედიური მასალების წარმოება, ჟურნალისტური გამოძიებების დაგეგმვა და სხვადასხვა მედია პლატფორმაზე მუშაობა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეძლებენ განივითარონ კრიტიკული აზროვნება, ანალიტიკური ხედვა, დაეუფლებიან კომუნიკაციის ოსტატობას და მულტიმედიის ტექნოლოგიებს.ასევე, ისინი შეიძენენ არამხოლოდ პრაქტიკულ უნარებს, არამედ იმ ღირებულებებს, რაც ჟურნალისტიკას დემოკრატიული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საყრდენად აქცევს.

ჟურნალისტიკის პროგრამა ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციის (EUPRERA, GFMD, ECREA, EDCOM,EJO, MFC, GIJN და სხვა. ) წევრია და პარტნიორობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ ტრადიციულ და ახალ მედიაში, ანალიტიკურ ცენტრებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, აკადემიურ და საგანმანათლებლო სფეროში, საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციების დეპარტამენტში, შეეძლებათ დამოუკიდებელ პროექტებზე მუშაობა, საგამოძიებო ჟურნალისტიკაში ჩართვა.



## სტრატეგიული კომუნიკაციების
## საბაკალავრო პროგრამა

სტრატეგიული კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს მრავალპროფილიანი სპეციალისტები, რომელთაც სიღრმისეული ცოდნა ექნებათ ბრენდის სტრატეგიული განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციების მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან, სტრატეგიული კომუნიკაციების დაგეგმვასა და განხორციელებას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კომუნიკაციების მართვას, მულტიმედიური და სოციალური მედიის ტექნიკების გამოყენებას, ბრენდინგს და სარეკლამო კამპანიების შექმნას, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას მონაცემთა ანალიზის საფუძველზე.

სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამა ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციის (EUPRERA, GFMD, ECREA, EDCOM,EJO, MFC, GIJN და სხვა. ) წევრია და პარტნიორობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, სტუდენტებს აძლევს საშუალებას აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში.

პროგრამის კურსდამთავრებულებს კარიერის განვითარება შეუძლიათ ბიზნეს სექტორში, მედიასა და რეკლამის სფეროში, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, საერთაშორისო და არასამთავრობო სტრუქტურებში, კვლევით და საკონსულტაციო კომპანიებში.

## საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა

საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები შეისწავლიან საერთაშორისო და გლობალურ პოლიტიკას, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს და მათი გადაჭრის გზებს, საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის პრინციპებს, გლობალური უსაფრთხოების მექანიზმებს.

საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა ევროპის სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციის (EU-HYB-NET, IPSA, ECPR და სხვა. ) წევრია და პარტნიორობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან, რაც სტუდენტებს აძლევს საშუალებას აქტიურად მიიღონ მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში.

სტუდენტები შეიძენენ საერთაშორისო მოვლენების დამოუკიდებლად შეფასების, კრიზისული სიტუაციების გაანალიზების და მართვის, კვლევით პროექტებზე მუშაობის, საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებზე კვლევის განხორციელების უნარებს.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ როგორც სახელმწიფო საჯარო, ასევე კერძო ბიზნეს და ანალიტიკურ სტრუქტურებში, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში, ადგილობრივ არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებში უმცროსი სპეციალისტის, დამწყები მკვლევრის/ანალიტიკოსის და საერთაშორისო მიმართულების კუთხით რელევანტურ პოზიციაზე.



## ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო პროფილის ფსიქოლოგები, რომლებსაც ექნებათ ცოდნა მეცნიერული ფსიქოლოგიის ძირითად სფეროების, ძირითად ფსიქიკური პროცესების და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების, ადამიანის ფსიქიკური განვითარების ეტაპების და მათი თავისებურებების, პიროვნებათშორისი და ჯგუფთაშორის ურთიერთობების კანონზომიერებების, პიროვნების არსის და მისი შემსწავლელი თეორიების, განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით ადამიანის ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ პროფესიული ეთიკის ფარგლებში კვლევის წარმოების ზოგადი პრინციპების გამოყენება, კვლევის თავისებურებებისა და კონკრეტული მეთოდების შერჩევა, რეალური ემპირიული კვლევის დაგეგმვა, ჩატარება, მიღებული მონაცემების დამუშავება და გააანალიზება.

პროგრამის კურსდამთავრებულებს კარიერის შექმნა შეეძლებათ ფსიქოლოგ-ასისტენტისა და დამხმარე ფსიქოლოგის პოზიციაზე სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურებში, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში, ტრენინგ-ცენტრებში, კვლევით ორგანიზაციებში, ბავშვთა და მოზრდილთა საკონსულტაციო და სარეაბილიტაციო ცენტრებსა და კლინიკებში.

## გამოყენებითი ფსიქოლოგიის
## სამაგისტრო პროგრამა

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მაღალი კომპეტენციის პროფესიონალთა მომზადებას, რომლებიც შეძლებენ წარმატებული კარიერის შექმნას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამა კურსდამთავრებულებს კვალიფიკაციას ანიჭებს შემდეგ ძირითად მიმართულებებში: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგია, კლინიკური ფსიქოლოგია და შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიის არჩევის შემთხვევაში კურსდამთავრებულები შეისწავლიან ადრეული, შუა ბავშობისა და მოზარდობის ფსიქოლოგიური თავისებურებების შეფასების და დიაგნოსტირების, ქცევის დარღვევების ანალიზისა და ინტერვენციის, ინკლუზიური სწავლების უნარებს.

კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციის ფარგლებში სტუდენტები იძენენ კლინიკურ-ფსიქოლოგიური შეფასების, ფსიქოდიაგნოსტიკის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და ფსიქოლოგიური კონსულტირების პრაქტიკულ უნარებს.

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაციის ფარგლებში კი, ორგანიზაციული ქცევისა და ორგანიზაციული განვითარების შეფასების; პერსონალის შეფასების და კარიერული განვითარების; პერსონალის შერჩევის; ტრენინგებისა და განვითარების; მომხმარებლის მიერ ყიდვის გადაწყვეტილების და პერსონალის მართვის, გაყიდვებისა და დაგეგმვის უნარებს.

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სამივე მიმართულების კურსდამთავრებულები პროფესიული ეთიკის ფარგლებში ახორციელებენ თავიანთ საქმიანობას საგანმანათლებლო დაწესებულებაში, კლინიკებში, ადამიანის რესურსების მართვის ორგანიზაციებსა და სხვადასხვა სფეროებში.

## უსაფრთხოების სწავლებები
## სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

უსაფრთხოების სწავლებების პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულებს საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობის სფეროში გამოუმუშაოს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავების, წარმოების, თავდაცვის სფეროს, როგორც უსაფრთხოების სფეროს შემადგენელი ელემენტის ორგანიზების უნარი და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების, ისევე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებთან ურთიერთკავშირის დამოუკიდებლად კვლევის უნარი.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდენენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანალიტიკურ და კვლევით ორგანიზაციებში.



## გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

გლობალური მმართველობის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში გლობალურ პროცესებს და ამ პროცესებში ჩართული საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუციური ჩარჩოების და ნორმატიული მექანიზმების ეფექტურობის შეფასებას.

პროგრამა ფოკუსირებულია შემდეგ თემებზე: გლობალური პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოები, მიგრაცია და მდგრადი განვითარება, დიპლომატიის მნიშვნელობა და პრაქტიკული როლი საგარეო პოლიტიკაში, ევროკავშირის და ნატოს ინსტიტუციური ჩარჩოები, ნორმატიული ძალა და პოლიტიკები, გლობალიზაცია, გლობალური მედია და გამჭვირვალობა, კავკასიის და გლობალური ინსტიტუციური პოლიტიკის ჭრილში ჰიპოთეზის ფორმულირებისა და კვლევის დამოუკიდებლად ჩატარება, მიმდინარე რთული პოლიტიკური მოვლენებისა და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის შეფასებაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების გზების დასახვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ, როგორც საქართველოში არსებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში, საელჩოებსა და ადგილობრივ ანალიტიკურ ორგანიზაციებში, ასევე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებსა თუ სხვა სახელმწიფო უწყებებში.





## მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამა

მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებულები იძენენ მკვლევრისთვის საჭირო უნარებს. ისინი ეუფლებიან კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვას და განხორციელებას დარგში ახალი ცოდნის შექმნის მიზნით, მაღალრეიტინგულ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების მომზადებას.

პროგრამა ევროპის PR ასოციაციის წევრია, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამაში, საერთაშორისო ასამბლეებსა და სტუდენტურ კონფერენციებში. ასევე ჩაერთონ სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

მასობრივი კომუნიკაციების დოქტორს დასაქმება შეეძლება როგორც კვლევით და სამეცნიერო ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებში, ასევე სახელმწიფო და კერძო უწყებებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ და კვლევით თანამდებობებზე.

## პოლიტიკის მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით ახალი ცოდნის შექმნას, მის მეცნიერულ განვითარებას და პრაქტიკული პოლიტიკის კონტექსტში რეკომენდაციების შემუშავებას. ასევე, უახლესი თეორიული და მეთოდოლოგიური ცოდნის საფუძველზე ხელი შეუწყოს მაღალი დონის მკვლევარების ჩამოყალიბებას აკადემიურ და ანალიტიკურ სივრცეში.

დოქტორანტურის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეძლებს პროექტის მენეჯმენტის უახლესი სტანდარტების დაცვით მოამზადოს და განახორციელოს ინოვაციური სამეცნიერო პროექტები პოლიტიკის მეცნიერებების აქტუალურ პრობლემებზე.



# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### UG MEDIA

თანამედროვე მულტიმედიური ტექნოლოგიებით აღჭურვილი სივრცეები, მათ შორის სატელევიზიო სტუდია, სამონტაჟო და აუდიო-ვიზუალური მედია ცენტრი, სადაც სტუდენტები რეალურ ჟურნალისტურ საქმიანობას ახორციელებენ, როგორიცაა გადაცემების, რეპორტაჟებისა და სიუჟეტების მომზადება.

### UGSPN (UG SECURITY, POLICY AND NATIONALISM RESEARCH CENTER)

მიისწრაფის ცოდნის წინსვლისკენ და ხელს უწყობს კრიტიკულ დისკუსიებს ეროვნული უსაფრთხოების, პოლიტიკის გამოწვევებისა და ნაციონალიზმის მრავალმხრივი განზომილებების შესახებ. ცენტრის მისიაა  ემპირიული კვლევების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გადაწყვეტილებების ხელშეწყობა, აგრეთვე ნაციონალიზმისა და უსაფრთხოების ღრმა გაგების გაღვივება აკადემიურ და საჯარო სფეროებში.

WWW.UGSPN.ORG

### ფსიქოლოგიური მომსახურებისა და ანალიტიკის ცენტრი “კონტაქტი”

ცენტრში ხორციელდება ინდივიდუალური კონსულტირება და თერაპია, ჯგუფური თერაპია, მიზნობრივ-თემატური ტრენინგები, სოციალურ-ფსიქოლოგიური კვლევები და მზადდება გამოცემები. ცენტრი ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს ჩაერთონ სხვადასხვა ტიპის აქტივობაში და შეიძინონ პროფესიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევები.




### ეთნიკურობისა და მულტიკულტურიზმის შესწავლის ბიბლიოთეკა და რესურს-ცენტრი

რესურს ცენტრის მიზანია როგორც სტუდენტების, ასევე გამოცდილ მკვლევართა აკადემიური მხარდაჭერა და კვლევების წახალისება ეთნოპოლიტიკისა და ერის მშენებლობის პრობლემატიკის მიმართულებით. ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური მასალები, უძველესი და უახლესი ლიტერატურა, რომელიც მნიშვნელოვანი რესურსია პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებთათვის, უფლება დამცველებისათვის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.




### საგამოძიებო მედია ლაბი (IML - INVESTIGATIVE MEDIA LAB)

ლაბორატორია პირველია საქართველოში, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს, პროფესორებს და პრაქტიკოს ჟურნალისტებს, რომლებიც სპეციალიზდებიან საგამოძიებო და მონაცემთა ანალიზზე.
ლაბორატორიის მიზანია: მოახდინოს საგამოძიებო ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია, გაზარდოს მისი გავლენა და აღჭურვოს მომავალი თაობა სიღრმისეული გამოძიებისთვის საჭირო უნარებით; განახორციელოს ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯარო ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის პოპულარიზაცია.

# სამართალი



## სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა

სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის სფეროში, რითაც ხელს უწყობს სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებას, საზოგადოებაში სამართლებრივი, დემოკრატიული და პროფესიული ეთიკის ღირებულებების განმტკიცებასა და სამოქალაქო მართლშეგნების ამაღლებას.

თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული სწავლების მეთოდების გამოყენებით პროგრამა კურსდამთავრებულს მისცემს სფეროსთვის აქტუალურ ცოდნას, გამოუმუშავებს შესაბამის პრაქტიკულ უნარებს, პროფესიულ პასუხისმგებლობასა და ავტონომიას.

პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული შეძლებს იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება.

## საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამია

საერთაშორისო ბიზნეს სამართლის სამაგისტრო პროგრამა ამზადებს მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს, რომლებსაც ექნებათ საერთაშორისო ბიზნეს სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, შეძლებენ მის კრიტიკულ გააზრებას შედარებით კონტექსტში, დამოუკიდებელ კვლევას, კომპლექსური სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტას და შემდგომი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვას.

საერთაშორისო ბიზნესის გლობალიზაციის კვალდაკვალ, საერთაშორისო ბიზნეს სამართლის პროგრამა ორიენტირებულია სამართლებრივი რეგულირების საკითხების შესწავლაზე. ამით პროგრამას წვლილი შეაქვს სფეროს განვითარებასა და ბიზნეს გარემოს სამართლებრივი რეგულირების გაუმჯობესებაში. პროგრამა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს უპასუხონ გამოწვევებს, რომლებიც უკავშირდება საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ტრანსნაციონალურ და მულტიდისციპლინურ კონტექსტს, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის აქტუალურ მოთხოვნებს.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ ყველა პოზიციაზე, სწავლის სფეროს გათვალისწინებით, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩაბარება. კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგად კურსდამთავრებულებს შეეძლებათ სწავლა განაგრძონ სადოქტორო საფეხურზე.



## სამართლის
## სამაგისტრო პროგრამა

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადება და მისი პროფესიული ზრდის ხელშეწყობა. პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება პრაქტიკული საქმიანობის განხორციელება და გამოუმუშავდება დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისთვის საჭირო კომპეტენციები.

სამართლის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულის მონაწილეობას სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს განმტკიცებაში. პრაქტიკული საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევები, კერძო, საჯარო და/ან სისხლის სამართლის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა მისცემს საშუალებას კურსდამთავრებულს გახდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ ყველა პოზიციაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. კვლევითი უნარების გამომუშავების შედეგად კურსდამთავრებულს შეეძლება სწავლა განაგრძოს დოქტორანტურის საფეხურზე.

## სამართალის და ეკონომიკის
## სამაგისტრო პროგრამა

პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება ეკონომიკის მიმართულებით - „სამართალი და ეკონომიკა“, რომელიც მოიცავს სამართლებრივი საკითხების ეკონომიკურ ანალიზს. პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ რეგულირების ეკონომიკური გავლენის შესწავლას და მიღებული შედეგების დაინტერესებული მხარეებისთვის არგუმენტირებულად წარდგენას.

აღნიშნული გულისხმობს ეკონომიკის პოლიტიკის, თეორიისა და ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების ღრმა და სისტემურ ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას, დამოუკიდებლად კვლევის განხორციელების გზით „სამართლის და ეკონომიკის“ მულტიდისციპლინურ გარემოში წამოჭრილი რთული პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიების, ისევე, როგორც საჭიროებისამებრ, დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავების უნარს.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება უნივერსიტეტებში, სადაზღვევო და საკონსულტაციო კომპანიებში, ბანკებში, კვლევით ინსტიტუტებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში, საჯარო სექტორში და ეკონომიკაში მოქმედ დიდ კომპანიებში, რომელთა ეფექტიანი ფუნქციონირება ითხოვს მუდმივ კვლევით აქტივობას.

## სამართალმცოდნეობის
## სადოქტორო პროგრამა

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რაც მოიცავს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულს ეცოდინება სამეცნიერო კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად წარმოებას, რითიც ხელს შეუწყობს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის დანერგვას და სამართლის დარგის მეცნიერულ განვითარებას. კურსდამთავრებულს ექნება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარი.

პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ სამართლის დარგში კვლევით და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში მეცნიერ/მკვლევარად ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობებზე.

# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### TOLES სამართლებრივი ინგლისური ენა

სამართლებრივი ინგლისური ენა ინტენსიურად ისწავლება სამართლის ყველა აკადემიურ პროგრამაში. სწავლება მიმდინარეობს TOLES (სამართლებრივი ინგლისურის ბრიტანული ცენტრი) პროგრამით, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული სასერტიფიკატო პროგრამაა და მას წარმართავენ ამერიკელი, ბრიტანელი და კანადელი პროფესორები. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, სტუდენტები შეძლებენ სასერტიფიკატო გამოცდაზე გასვლას და სამართლებრივი ინგლისური ენის საერთაშორისო სერტიფიკატის მოპოვებას. www.toles.ug.edu.ge.

### GNOMON WISE

საქართველოს უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტია, რომელშიც ადგილობრივი თუ საერთაშორისო ექსპერტები აწარმოებენ კვლევებს, ქმნიან ანგარიშებსა და ანალიტიკურ დოკუმენტებს. GNOMON WISE ხელს უწყობს საჯარო პოლიტიკაში, აკადემიური სივრცის როლისა და საზოგადოების ჩართულობის ზრდას. საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ გაიარონ პრაქტიკა აღნიშნულ ინსტიტუტში და შეიძინონ კვლევის ჩატარების უნარები.

### სასამართლო უნარ-ჩვევები

სამართლის სკოლაში არსებული იმიტირებული სასამართლო დარბაზი ხელს უწყობს სტუდენტებს სასამართლო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. გამოცდების დიდი ნაწილი ტარდება იმიტირებული პროცესის სახით, რომელშიც სტუდენტები წინასწარ განსაზღვრული როლით (მაგ: მოსამართლის, ბრალდებულის, პროკურორის...) მონაწილეობენ.

### უფასო იურიდიული დახმარების ცენტრი

ცენტრი უფასო იურიდიულ კონსულტაციას უწევს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და უზრუნველყოფს მათ საადვოკატო მომსახურებას სრულიად უსასყიდლოდ. ცენტრში პრაქტიკის გავლა სტუდენტებისთვის სავალდებულოა. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები ხვდებიან ნამდვილ კლიენტებს და ტრენერ-ადვოკატთან ერთად უწევენ სამართლებრივ კონსულტაციას, ახორციელებენ მათ წარმომადგენლობას სასამართლოში. პრაქტიკის წარმატებით გავლის შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ დასაქმდნენ ამავე ცენტრში.

### სამეცნიერო ინსტიტუტი

სამართლის სკოლაში, სისხლის სამართლის მიმართულებით კვლევას ახორციელებს ქართული, გერმანული და საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტი, რომელიც გთავაზობთ კვლევებს, საჯარო ლექციებს, სამუშაო შეხვედრებს, სამეცნიერო კონფერენციებს, ინგლისურენოვან საზაფხულო სკოლებს გერმანიაში და შეჯიბრებას იმიტირებულ პროცესებში.

### ადამიანის უფლებების ცენტრი

ადამიანის უფლებების ცენტრის მიზანია ადამიანის უფლებების, თავისუფლებებისა და სხვა დემოკრატიული ღირებულებების შესახებ ცოდნის გავრცელება, სამოქალაქო აქტივიზმის და ინიციატივების ხელშეწყობა, ადამიანის უფლებების შესახებ ხარისხიანი განათლების გავრცელების გზით. ცენტრი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ადამიანის უფლებების სამართლის, როგორც სასწავლო დისციპლინის გაძლიერებას და სტუდენტების ჩართულობის წახალისებას, ადამიანის უფლებების დაცვას ადვოკატირების, მონიტორინგის, სამართლებრივი დახმარების გაწევის გზით.

ასევე, სტუდენტებში ადამიანის უფლებების განათლების პოპულარიზაციას აქტუალურ ადამიანის უფლებების საკითხებზე დისკუსიების, დებატების, კონკურსების, იმიტირებული პროცესების, სასწავლო ვიზიტების, კამპანიური ხასიათის აქტივობების, სტაჟირების პროგრამების შეთავაზების გზით.

## სასამართლოს საერთაშორისო შეჯიბრი

სამართლის სკოლა ყოველწლიურად გთავაზობთ მსოფლიოში ცნობილი საერთაშორისო კონკურსებისთვის მომზადებას და მათში მონაწილეობას, სრული დაფინანსებით.

შემოთავაზებული კონკურსებია:

• ELSA Moot Court Competition onWTO Law (EMC2);

• Willem C. Vis International Commercial Arbitration Moot (Vis Moot);

• Central & East European Moot Competition (CEEMC);

• Philip C. Jessup International Law Moot Court Competition (Jessup);

• ICC International Commercial Mediation Competition Paris;

• ICC International Commercial Mediation Competition Hong Kong;

• IBA – VIAC CDRC Vienna The Mediation and Negotiation Competition;

•INADR International Law School Mediation Tournament

კონკურსებში მონაწილეობა სტუდენტებისთვის უმნიშვნელოვანესი შესაძლებლობაა კვლევისა და პრაქტიკული უნარების, ასევე სასარგებლო კონტაქტების შესაძენად და წარმატებით დასაქმებისთვის.



## საზაფხულო და ზამთრის სკოლები

სამართლის სკოლა საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში ყოველწლიურად აწყობს საზაფხულო და ზამთრის სკოლებს, რომლებშიც მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი სტუდენტები.

სკოლების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს როგორც საჯარო, ისე კერძო და სისხლის სამართლის საკითხებს. მასში მონაწილეობენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები, რომლებიც სტუდენტებს თანამედროვე სამართლებრივ გამოწვევებს და პრაქტიკულ გამოცდილებას უზიარებენ.

სასწავლო პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერაქციულ მეთოდებს, პრაქტიკულ დავალებებსა და ჯგუფურ მუშაობას, რაც მონაწილეებს შესაძლებლობას აძლევს, განივითარონ ანალიტიკური და პრაქტიკული უნარები და გაიფართოონ პროფესიული სანაცნობო წრე.

საზაფხულო და ზამთრის სკოლები ასევე მოიცავს კულტურულ-გასართობ პროგრამასაც და ჩვენი სტუდენტებისთვის სრულად ფინანსდება.



# ბიზნესი და ადმინისტრაციული მეცნიერებები



## ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა
(ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს, შეისწავლონ ფინანსების , მარკეტინგის, მენეჯმენტისა და საბუღალტრო აღრიცხვის სხვადასხვა მიმართულებები, რაც დაეხმარებათ წარმატების მიღწევაში ბიზნესის გლობალურ არენაზე.

საინტერესო გუნდური პროექტებით, სტაჟირებებით, თანამედროვე და ინოვაციური რესურსებით, რეალური ბიზნეს ქეისების ანალიზით, სტუდენტები შეიძენენ უნარებს, რომლებიც დაეხმარებათ წარმატებული ბიზნეს კარიერის შექმნაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

ბიზნესის კურსდამთავრებულებს, მუშაობა შეეძლებათ ნებისმიერ სექტორში ფინანსების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, საბუღალტრო აღრიცხვის კონცენტრაციით.

**საქართველოს უნივერსიტეტში ბიზნესის ადმინისტრირების 3-წლიანი საბაკალავრო პროგრამაც მოქმედებს.**



## ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს უნივერსიტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ სიღრმისეული თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ წარმატებულ და კონკურენტუნარიან კადრებად, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამა მოამზადებს სტუდენტებს მიკრო და მაკროეკონომიკის, ფინანსების, მენეჯმენტისა და ბიზნესის მართვის სფეროებში უახლესი მეთოდებით და მიდგომებით, რომლებიც ხელს შეუწყობს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებას. კურსდამთავრებულები შეძლებენ კომპლექსური ეკონომიკური პრობლემების გადაჭრას, ეკონომიკური მოდელების შექმნას, რეგიონული და გლობალური ეკონომიკის ტენდენციების ანალიტიკას, შეფასებასა და პროგნოზირებას.

კურსდამთავრებულებს კარიერის განვითარება მრავალი მიმართულებებით შეეძლებათ, როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში. საშუალება ექნებათ იმუშაონ სხვადასხვა კვლევით ინსტიტუტებსა და ცენტრებში, ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებში, ფინანსურ საკონსულტაციო კომპანიებში, ინოვაციურ სტარტაპებში და ა.შ.

## საჯარო მმართველობის
## საბაკალავრო/სამაგისტრო **პროგრამა**

საჯარო მმართველობის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები შეისწავლიან, თუ როგორ იგეგმება და ხორციელდება საჯარო პოლიტიკა და პროგრამები, რამდენად წარმატებულია ეს პროგრამები, როგორ არის შესაძლებელი შედეგის გაუმჯობესება. საჯარო მმართველობის პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები სწორედ საჯარო სექტორში მართვის პრინციპებს, სახელმწიფოს, საჯარო ორგანიზაციების, საჯარო პოლიტიკისა და პროგრამების ადმინისტრირების მექანიზმებს გაეცნობიან და სიღრმისეულად შეისწავლიან.

პროგრამა მოიცავს საჯარო მართვის პოლიტიკურ, მენეჯერულ, სამართლებრივ და ეკონომიკურ ასპექტებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში და საერთაშორისო ასპარეზზე უახლეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეფორმებს, საჯარო პროგრამებისა და სერვისების განხორციელების თანამედროვე გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებს ინოვაციური ხედვისა და ახალი იდეების გენერირების გზით.

კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება და კარიერული განვითარება საჯარო სამსახურში, არასამთავრობო, საერთაშორისო თუ საკონსულტაციო ორგანიზაციებში და წარმატებული საქმიანობით სახელმწიფოს დემოკრატიული განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

**საქართველოს უნივერსიტეტში საჯარო მმართველობის 3-წლიანი საბაკალავრო პროგრამაც მოქმედებს.**

## ბიზნეს ანალიტიკის
## საბაკალავრო **პროგრამა** (ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინფორმაციული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირების და მათემატიკური მეთოდების კომბინაცია, რომლის უმთავრეს მიზანსაც წარმოადგენს ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია და გაუმჯობესება.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ბიზნეს გარემოსა და პროცესების ანალიზს, ინოვაციური პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებას, შეძლებენ ორგანიზაციის საქმინობის ანალიზს თანამედროვე ინსტრუმენტებით, ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაციას, ფინანსური მაჩვენებლების შეფასებასა და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმდნენ ისეთ პოზიციებზე როგორიცაა: ბიზნესის მართვის ანალიტიკოსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების ბიზნეს-ანალიტიკოსი, ფინანსური და სტატისტიკური ანალიტიკოსი, როგორც კერძო, ასევე საჯარო და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**საქართველოს უნივერსიტეტში ბიზნეს ანალიტიკის 3-წლიანი საბაკალავრო პროგრამაც მოქმედებს.**



## ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის სამაგისტრო პროგრამა

ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის პროგრამა ამზადებს საერთაშორისო შრომის ბაზრის სტანდარტის HR მენეჯერებს, რომლებსაც ექნებათ ბიზნესის ხედვა, HR სფეროში მონაცემების შეგროვების, დამუშავების, გამოყენების და ციფრული ინტეგრაციის უნარები.

პროგრამა დაფუძნებულია ნიდერლანდების ინოვაციური ადამიანური რესურსების აკადემიის (AIHR) მიერ შემუშავებულ HR პროფესიონალების ე.წ. T ფორმის კომპეტენციის მოდელზე და ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი პროფესიონალის მომზადებაზე, კერძოდ, ბიზნესის ხედვის (Business Acumen), ციფრული ინტეგრაციის (Digital Integration), მონაცემების გამოყენების (Data Literacy) და ადამიანური კაპიტალის უნარების განვითარებაზე.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ დასაქმდნენ კერძო და საჯარო ორგანიზაციებში საშუალო თუ მაღალი რგოლის პოზიციებზე, როგორიცაა: HR ბიზნეს პარტნიორი, HR გენერალისტი, HR მენეჯერი, HR ანალიტიკოსი და სხვა.

**საქართველოს უნივერსიტეტში ადამიანური კაპიტალის მართვის და ციფრული ტრანსფორმაციის 1-წლიანი სამაგისტრო პროგრამაც მოქმედებს.**

## ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფს დოქტორების მიერ შემოქმედებით გენერაციას, კრიტიკული იდეებისა და ჰიპოთეზების შექმნას, ამ იდეების შეფასებისა და განხორციელებისთვის აუცილებელი ანალიტიკური უნარების გამომუშავებას.

პროგრამის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ სრულფასოვან მეცნიერებს და მკვლევარებს. ისინი ახდენენ ბიზნესის ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირებას, ანალიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებას და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენას როგორც აკადემიურ, ისე რეალურ ბიზნეს გარემოში.

ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს კარიერის გაგრძელება შეუძლიათ აკადემიურ დაწესებულებებში, კვლევით და ანალიტიკურ ორგანიზაციებში, საერთაშორისო და ადგილობრივ ბიზნესებში, საჯარო სექტორში და ა.შ.



# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო პროგრამა

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლა წარმატებულ სტუდენტებს უფინანსებს ევროპის ინოვაციის აკადემიის საზაფხულო პროგრამაში მონაწილეობას. ეს პროგრამა აღიარებულია როგორც სამეწარმეო სწავლების საუკეთესო პლატფორმა და შედგენილია მსოფლიო კლასის პარტნიორ უნივერსიტეტებთან და კომპანიებთან თანამშრომლობით, რომელთა შორის არიან ბერკლი, სტენფორდი, გუგლი, ამადეუსი და სხვა.

### UG STURTUP FACTORY

სრულიად ახალი ტიპის, მოქნილი ინოვაციების ცენტრი, აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს განავითარონ, განახორციელონ და წარმატებულ ბიზნესად აქციონ საკუთარი იდეები. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს, როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ინკუბატორებთან და აქსელერატორებთან, პერსპექტიული პროექტების ლოკალურ და საერთაშორისო ბაზარზე გატანის მიზნით. ორგანიზაციის ბაზაზე ასევე, ფუნქციონირებს ტექნოლოგიების ტრანსფერის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტარტაპების ინოვაციური იდეების კომერციალიზაციას. საქართველოს უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საინვესტიციო ფონდი სტარტაპების დასაფინანსებლად.



### ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი

სკოლის ფარგლებში ფუნქციონირებს ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი, რომლის მიზნია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა აკადემიურ და პრაქტიკული სახის კვლევით პროექტებში. ადმინისტრაციულ მეცნიერებათა კვლევითი ცენტრი არის ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში არსებული კიდევ ერთი, პრაქტიკაზე ორიენტირებული, კომპონენტი.

### კომპიუტერული ლაბორატორია

ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლას გააჩნია კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც სტანდარტულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ერთად სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია თანამედროვე ბუღალტრული, ფინანსური და სტატისტიკური პროგრამები. სწავლება ხდება ბუღალტრული სისტემების შემმუშავებელ კომპანიასთან თანამშრომლობით, რაც გულისხმობს სტუდენტების სერტიფიცირებას აღნიშნულ პროგრამებში.



# ჯანმრთელობის მეცნიერებები



## საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა
(ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ჯანდაცვის სფეროში მნიშვნელოვანი როლის შესრულება და პაციენტთა მოვლის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტის საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამაზე წარმატებით სწავლის შემთხვევაში.

საექთნო საქმის საბაკალავრო პროგრამა შეიქმნა ევროსაბჭოს დირექტივების, ექთნების საერთაშორისო საბჭოს (ICN) მოთხოვნებისა და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) რეკომენდაციების საფუძველზე. პროგრამის განვითარებაში მონაწილეობა მიიღეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორებმა, რაც უზრუნველყოფს სწავლების მაღალ საერთაშორისო სტანდარტს. პროგრამა აერთიანებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც სტუდენტებს უყალიბდებათ თანამედროვე „სიმულაციურ ჰოსპიტალში“ მულაჟებსა და მანეკენებთან მუშაობისას. კვალიფიციური მენტორების ზედამხედველობით, სტუდენტები კლინიკურ პრაქტიკებს გადიან წამყვან საავადმყოფოებსა და ამბულატორიულ კლინიკებში.

სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს აქვთ დასაქმების შესაძლებლობა როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. მიღებული ბაკალავრის ხარისხი ხსნის კარიერული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებს, რაზეც პროგრამის კურსდამთავრებულების წარმატებაც მეტყველებს ევროპის, ამერიკის, ავსტრალიისა თუ აფრიკის მრავალ ქვეყანაში.



## ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა
(ქართულენოვანი/ინგლისურენოვანი)

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ხარისხიანი, პროფესიული ზრდისა და შემდგომი სწავლის უნარის მქონე ფარმაცევტის მომზადებას. პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულებს ექნებათ საფუძვლიანი ცოდნა ფარმაკოლოგიის, პაციენტზე ორიენტირებული რაციონალური ფარმაკოთერაპიის, ფარმაციის მიმართულებით კლინიკური კვლევების შედეგების გამოყენების სფეროში. გარდა ამისა, ისინი შეძლებენ ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვას შესაბამის დონეზე.

პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო და გაცვლით პროექტებში მონაწილეობას. პრაქტიკული სწავლება ხორციელდება ფარმაციის სამეცნიერო-კვლევით საუნივერსიტეტო ლაბორატორიაში, GMP სერტიფიკატით აღჭურვილ ფარმაცევტულ საწარმოში და ავტორიზებულ სააფთიაქო დაწესებულებებში.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას სხვადასხვა სფეროებში, მათ შორის, სააფთიაქო და ფარმაცევტულ კომპანიებში, კლინიკებში, სამედიცინო ცენტრებსა და ჰოსპიტალებში, ფარმაცევტულ კვლევებში, როგორც დამოუკიდებელი ფარმაცევტები ან კონსულტანტები. ასევე, მათ ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიტიკოსებად და პრევენციის სპეციალისტებად როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებში.

## ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ჯანდაცვის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს შეისწავლონ ჯანდაცვის მენეჯმენტის, ფინანსური მართვის, ჯანდაცვის პოლიტიკისა და კვლევების ძირითადი მიმართულებები. პროგრამის შექმნაზე მუშაობდნენ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის წამყვანი სპეციალისტები, რომლებიც ცენტრალური ფლორიდისა და სკრენტონის (აშშ, პენსილვანია) უნივერსიტეტებთან თანამშრომლობენ.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების ბაზარზე ეფექტურად ოპერირებას უზრუნველყოფს ისეთი დარგობრივი საკითხების ცოდნა, როგორიცაა სამედიცინო სერვისების ორგანიზება, მიწოდება, მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვა, მარკეტინგი, ხარისხის პრინციპები, საინფორმაციო სისტემები, ჯანდაცვის პროგრამების მართვა-ფორმირება, შედეგების შეფასება, პროგნოზირების მეთოდები, ეთიკა, ბიოეთიკა და სხვ. აგრეთვე, ცოდნა ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი პროცესების, სამედიცინო მანიპულაციების, დიაგნოსტირების, მკურნალობის მეთოდების, სამედიცინო ენისა და სხვათა შესახებ.

საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს კურსდამთავრებულს წარმატებით განახორციელოს მენეჯერული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის საჯარო სამსახურებში, სამედიცინო დაწესებულებებში, ჯანმრთელობის დაზღვევის კომპანიებში, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ჯანდაცვით ორგანიზაციებში, პაციენტთა უფლებების დაცვისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობ ორგანიზაციებში, ფარმაცევტულ კომპანიებში, სტომატოლოგიურ კლინიკებში ოპერაციულ პოზიციებზე.

## საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტები მიიღებენ ღრმა ცოდნას ჯანმრთელობის დეტერმინანტებისა და მათი მართვის შესახებ ადგილობრივ და გლობალურ დონეზე, ისინი შეძლებენ ჯანდაცვის პოლიტიკის მიზნებისა და სტრატეგიების შემუშავებას, განხორციელების ხელშეწყობასა და მიღწეული შედეგების შეფასებას. სტუდენტები ისარგებლებენ საერთაშორისო და გაცვლითი პროექტებით, რომლებიც ხელმისაწვდომია აშშ-ში, ნორვეგიაში, თურქეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა დასაქმდნენ როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელ სტრუქტურებსა და საჯარო ორგანიზაციებში, ასევე საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მიმართულებებზე ორიენტირებულ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებში მენეჯერის/ხელმძღვანელის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტის/ ანალიტიკოსის შესაბამის პოზიციებზე.



## ფარმაციის სამაგისტრო პროგრამა

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მიიღებენ ღრმა და სისტემურ ცოდნას სამედიცინო ფარმაკოლოგიის, კლინიკური ფარმაციისა და რაციონალური ფარმაკოთერაპიის, კლინიკური კვლევების მეთოდების, პაციენტზე ორიენტირებული ფარმაცევტული მიმართულებით. ისინი შეძლებენ მედიკამენტური თერაპიის ხარისხის გაუმჯობესებას და დაავადებათა დადებითი კლინიკური გამოსავლის მიღწევაში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტას. პროგრამა ასახავს დარგის მიმდინარე ტენდენციებს და ხაზს უსვამს ფარმაცევტების აქტიურ და ქმედით მონაწილეობას პაციენტის ჯანმრთელობის დაცვაში.

სტუდენტები მიიღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას ქვეყნის წამყვან კლინიკებსა და სააფთიაქო დაწესებულებებში. მათ შეეძლებათ ისარგებლონ მრავალფეროვანი საერთაშორისო და გაცვლითი პროექტებით.

ფარმაციის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას კლინიკებში, სააფთიაქო და ფარმაცევტულ კომპანიებში, სამედიცინო ცენტრებსა და ჰოსპიტლებში, ჯანმრთელობის პოლიტიკის ანალიტიკოსების როლში, ასევე, ფარმაცევტული ზრუნვისა და მედიკამენტური თერაპიის მიმართულებით სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებში.



## ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს შეისწავლონ ფარმაცევტული სისტემების მართვის მოდელები, გარე და შიდა გამოწვევების კვლევა, შეფასება და ადმინისტრირება. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას, რომელიც აუცილებელია ფარმაციის ორგანიზაციებში თანამედროვე მიდგომების დანერგვისა და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ სიღრმისეულ ცოდნას, ფარმაცევტული ეკონომიკისა და ფარმაცევტული პოლიტიკის, ფარმაცევტული ხარისხის სისტემების მართვის, წამლების ავტორიზაციის, კლინიკური კვლევების ბიზნეს ადმინისტრირების, ფარმაკოზედამხედველობის და ფარმაცევტული ეთიკის, გლობალურ, საერთაშორისო და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის სისტემების მართვის, მენეჯერული ეკონომიკის შესახებ.

ფარმაციის მენეჯმენტის მაგისტრი, შეძლებს განახორციელოს მაღალი დონის მენეჯერული საქმიანობა სახელმწიფო, საერთაშორისო და კერძო სამართლებრივი ფორმის მქონე ორგანიზაციებში ფარმაცევტული საქმიანობის ისეთ სეგმენტებში როგორიცაა: ფარმაცევტული პროდუქციის სახელმწიფო ადმინისტრირება, ფარმაცევტული პროდუქტის წარმოება, დისტრიბუცია, ლოჯისტიკა, იმპორტი, აფთიაქი, ხარისხის კონტროლი, მარკეტინგი და პრომოცია, კლინიკური კვლევებისა და ფარმაკოზედამხედველობის ადმინისტრირება, სადაზღვევო კომპანიებში ფარმაკოეკონომიკის მიმართულებით საქმიანობა.



## საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს დოქტორანტებს მიიღონ უახლესი ცოდნა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, რომელიც ეფუძნება თანამედროვე კვლევებს. პროგრამის დოქტორანტები დაეუფლებიან ინოვაციურ ტექნოლოგიებს ჯანმრთელობის დეტერმინანტების შესასწავლად, მონაცემთა ანალიზისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური სასწავლო მოდულების შექმნისა და სწავლის უნარებს.

დოქტორანტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა ჩაერთონ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში და იმუშაონ პარტნიორ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან აშშ-ში, ნორვეგიაში, თურქეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში. მაგალითად, ტრომსოს ჯანმრთელობის კვლევების ლაბორატორიაში ისინი შეძლებენ პრაქტიკული გამოცდილების მიღებას საუკეთესო კომპიუტერულ ბაზებთან და მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის ინსტრუმენტებთან. გარდა ამისა, პროგრამა მოიცავს ფოგარტის საერთაშორისო კვლევით გრანტს, რომელიც ფოკუსირებულია გარემოს ჯანმრთელობაზე და ხორციელდება დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (NCDC) პარტნიორობით.

სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულებს შეეძლებათ დასაქმება უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, ჯანდაცვით ორგანიზაციებში, სადაზღვევო კომპანიებში, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და როგორც სამთავრობო ასევე არასამთავრობო სექტორში. ისინი შეძლებენ საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, ჯანდაცვის პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და მართვას, ასევე სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვას.

## მედიცინის საგანმანათლებლო ერთსაფეხურიანი პროგრამა (ინგლისურენოვანი)

მედიცინის საგანმანათლებლო ერთსაფეხურიანი პროგრამის მიზანია მოამზადოს კომპეტენტური მედიკოსები, რომლებსაც ექნებათ საქართველოს კანონმდებლობით და საბაზისო სამედიცინო განათლების TUNING/MEDINE პროგრამის სასწავლო ამოცანებით გათვალისწინებული თეორიული ცოდნა, პრაქტიკული უნარები და ღირებულებები.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ბიოსამედიცინო მეცნიერებების სისტემურ ცოდნას, შეისწავლიან სხვადასხვა სამედიცინო სპეციალობასა და სუბსპეციალობაში კლინიკურ მეცნიერებებს, წამლების დანიშვნისა და გამოყენების პრინციპებს, საზოგადოებრივი ჯადაცვის, ეპიდემიოლოგიისა და ჯანმრთელობის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, გაეცნობიან სამედიცინო პრაქტიკის ეთიკურ და სამართლებრივ პრინციპებს.

პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა ექნებათ სწავლა გააგრძელონ მაგისტრატურაზე ან/და დოქტორანტურაზე, მათ შეეძლებათ დასაქმება უმცროს ექიმად, ასევე შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ როგორც პედაგოგიურ, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში.

## სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი პროგრამა (ინგლისურენოვანი)

პროგრამის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან სტომატოლოგიის საფუძვლებს, კლინიკურ და პრაქტიკულ უნარებს, სიმულაციურ ლაბორატორიებში მუშაობასა და სამეცნიერო კვლევებს სტომატოლოგიურ სფეროში. პროგრამაში ასევე ჩართულია ინდივიდუალური და პოპულაციური კვლევები, რომლებსაც სტუდენტები ატარებენ და აქვეყნებენ სამეცნიერო სტატიებს. პროგრამა შეიმუშავა საქართველოსა და საერთაშორისო ასოცირებულ პროფესორთა ჯგუფმა, წამყვან სტომატოლოგებთან ერთად. კურსდამთავრებულებს ფართო შესაძლებლობები აქვთ დასაქმების მიზნით, როგორც სტომატოლოგიურ კლინიკებში, ასევე კერძო სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, სადაც ისინი შეძლებენ წარმატებული კარიერის ჩამოყალიბებას.



## დერმატო ვენეროლოგიის და ლაბორატორიული მედიცინის სარეზიდენტო პროგრამები

სარეზიდენტო პროგრამები განკუთვნილია უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე დიპლომირებული მედიკოსებისთვის, რომლებსაც სურვილი აქვთ გახდნენ ექიმები კონკრეტული სპეციალობის მიმართულებით. პროგრამების მიზანია პროფესიული კადრების მომზადება, სადაც თეორიული ცოდნის გაღრმავებასთან ერთად ხდება პრაქტიკული უნარების სწავლება და განმტკიცება. უმნიშვნელოვანესია თეორიული და კლინიკური კომპეტენციების გამომუშავება წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით - დაგროვილი ცოდნის, გამოცდილების, სოციალური და/ან მეთოდოლოგიური უნარების გამოყენება კლინიკური ჩარევის გადაწყვეტილების მიღებისას. პროგრამა იძლევა მცირე სამეცნიერო კვლევის განხორციელების საშუალებას, რომელიც შესაძლებელია შემდგომში გამოყენებულ იქნას სადოქტორო სამეცნიერო კვლევის ბაზისად.

# რესურსები
## პრაქტიკული სწავლებისთვის

### სიმულაციური ჰოსპიტალი

სიმულაციური ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე სამედიცინო-სასწავლო სიმულატორებით, მულტიფუნქციური მანეკენებითა და სამედიცინო ინვენტარით. რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში სტუდენტები ეუფლებიან ისეთ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა: პაციენტის მოვლა, ინფექციები, პერიფერიული ვენის კათეტერიზაცია, შარდის ბუშტის კათეტერიზაცია, ზონდირება, ფილტვისა და გულის აუსკულტაცია, ჭრილობის დამუშავება, სასწრაფო გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და სხვა. სიმულაციური ჰოსპიტალი მოიცავს სამ ფუნქციურ ნაწილს: სამანიპულაციო, სამეანოგინეკოლოგიურ და უშუალოდ ჰოსპიტალურს თავისი სასწავლო აუდიტორიით. გამოყენებულია სიმულაციურ პაციენტზე/მანეკენზე მანიპულაცია-პროცედურებისა და დავალების შესრულების როგორც ვიდეო ჩანაწერების, ასევე ონლაინ გადაცემის გზით გარჩევისა და შეფასების პრაქტიკა.

### სიმულაციური აფთიაქი

წარმოადგენს ფარმაცევტული პროგრამის სიმულაციურ ბაზას.  აქ სრულდება სიტუაციური ამოცანები და ირჩევა კლინიკური ქეისები, რაც პრაქტიკულად ხორციელდება როლური (ფარმაცევტი-პაციენტი, ფარმაცევტი-ექიმი - პაციენტი, ფარმაცევტი-ექიმი-ჯანდაცვის სპეციალისტი და სხვა) თამაშების შესრულებით. სტუდენტები ადგენენ ფარმაცევტულ ქეისს, რაც მოიცავს მედიკამენტურ თერაპიას, სამედიცინო დანიშნულების საგნების მიწოდებას, ფარმაცევტული კომპიუტერული პროგრამების ცოდნას და გამოყენებას. აქვე ხდება ფარმაცევტული ქეისის განხილვა და შეფასება.

### სამედიცინო თეატრი

სამედიცინო თეატრში მოწვეული მსახიობების მიერ წარმოებს სამედიცინო ქეისებზე დაფუძნებული სიტუაციური სცენების/ამოცანების დადგმა მედიცინის მიმართულებით, მსახიობები ახდენენ სხვადასხვა დაავადების სიმულაციას, ხოლო მისი დიაგნოსტირება ხდება სტუდენტების მიერ.

### UG რეავიტა-დენტი

ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტომატოლოგიური კლინიკა „UG რეავიტა დენტი“.  კლინიკა, როგორც სამეცნიერო-სასწავლო-კვლევითი საუნივერსიტეტო ბაზა, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის  სათანადო ცოდნისა და პრაქტიკული სამედიცინო უნარ-ჩვევების მიცემას. სტომატოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლების გარდა, სტუდენტებს საშუალება აქვთ ჩაერთონ სტაჟირების პროგრამაში და მეტი კლინიკური გამოცდილება მიიღონ.

### ლაბორატორიები

ადამიანის სხეულისა და ფუნქციის, ფარმაციის სასწავლო-სამეცნიერო, ბიომედიცინის ლაბორატორია, ფიზიოლოგიის ტექნოლოგიური, ციტოლოგია-ჰისტოლოგიის, ნევროლოგია-ფიზიოლოგიის ექსპერიმენტული, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის, პირველადი ქირურგიული და გადაუდებელი დახმარების, დამოუკიდებელი მუშაობის, ეპიდემიოლოგია-ბიოსტატისტიკის კვლევითი კომპიუტერიზირებული ლაბორატორია შესაბამისი ლიცენზირებული პროგრამებით და სხვა ლაბორატორიებით, რომლებიც შესაბამისად აღჭურვილია სინათლისა და ელექტრონული მხარდაჭერის მიკროსკოპებით, თანამედროვე მულაჟებით, 3D ანატომიური მაგიდითა და ტრანსლირების პროგრამებით, მრავალფუნქციური ნორმალური და პათოლოგიური პროცესების სიმულატორებით სათანადო ციფრული მხარდაჭერის შესაძლებლობებით და სხვ.



## სტომატოლოგიური სიმულაციური და პრაქტიკული ლაბორატორია

წარმოადგენს მულტიპროფილურ სტომატოლოგიურ სიმულაციურ პრაქტიკულ ლაბორატორიას, სადაც გამოყენებულია დარგისთვის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებისა და განვითარებისათვის აუცილებელი თანამედროვე სტომატოლო- გიური ტექნოლოგიები და სწავლების მეთოდები. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სპეციალიზებულ სიმულაციურ სტომატოლოგიურ დანადგარებზე დაეუფლონ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, გაეცნონ სტომატოლოგიური მომსახურების მნიშვნელოვან ასპექტებს შესაბამისი მიმართულებით: თერაპიული, ორთოპედიული, ქირურგიული და ორთოდონტიული სტომატოლოგია. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს (IDTL) ინდივიდუალური სტომატოლოგიური ტრეინინგ ლაბორატორია, სადაც სტომატოლოგიის დეპარტამენტის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სტუდენტ- მენტორების ხელშეწყობით, მათთვის მისაღებ დროს დარეგისტრირდნენ და განახორციელონ სილაბუსით გათვალისწინებული მანიპულაციები სტომატოლოგიურ სიმულატორებზე.

## ოსკი/OSCE დარბაზი

თანამედროვე მაღალტექნოლოგიური და მრავალპროფილური საგამოცდო ცენტრი, რომელშიც შექმნილია შესაბამისი გარემო პრაქტიკული უნარების ობიექტური და სტრუქტურიზებული გამოცდებით შეფასებისთვის. აღჭურვილია სათანადო მულაჟებითა და ფანტომებით, სამედიცინო და ვიდეო ონლაინ აპარატურით. სტანდარტიზირებული პაციენტების მეშვეობით იქმნება რეალურ მდგომარეობასთან მაქსიმალურად მიახლოებული კლინიკური გარემო, სადაც მენტორებისა და პროფესურის მიერ ერთობლივად ფასდება სტუდენტის მიღწევები.



## გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების  ინსტიტუტი

საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის განათლებისა და კვლევების ინსტიტუტის (Global & European Health Education and Studies /GEHES) მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნასა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული, გლობალური და ევროპული ჯანმრთელობის კვლევების საუკეთესო პრაქტიკისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას და განათლების ხელშეწყობას სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისათვის  ქვეყნისა და რეგიონის პოპულაციის ჯანმრთელობის გაუმჯობესებისთვის და ასევე, სამეცნიერო თანამშრომ ლობის განვითარებას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.



## ინოვაციური ლიდერობის საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულისთვის ჰოლისტიკური ცოდნის მიცემა, როგორც ტექნოლოგიურ, ისე სოციალურ და ჰუმანიტარულ მიმართულებებში. შემოქმედებითი, გამომგონებლური და ანტრეპრენიორული უნარების განვითრება, რომელთა კომბინაციით, კურსდამთავრებული შეძლებს: ადვილად ადაპტირდეს, ორიენტირდეს და მოახდინოს საკუთარი პიროვნების რეალიზება სწრაფად ცვალებად გარემოში. ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, მოახდინოს საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარება, არსებული გამოწვევებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოახდინოს სტარტაპ-იდეების გენერირება და რეალიზება, გააჩნდეს შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომები, იყოს ცვლილებების ინიციატორი.

პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ კარიერული შესაძლებლობების ფართო სპექტრი. ბაკალავრებს შეუძლიათ გახდნენ ლიდერები ყველა იმ სფეროში, რაც დღეს მოთხოვნად პროფესიებს წარმოადგენს და დასაქმდნენ, როგორც ბიზნესისა და ტექნოლოგოების მიმარატულებით, ასევე გახდნენ ანტერპრენერები, შექმნან საკუთარი სტარტაპი, იმუშაონ როგორც საჯარო, ასევე კერძო სტრუქტურებში და იყვნენ კონკურენტულები საერთაშორისო ასპარეზზე.



# საერთაშორისო თანამშრომლობა და გაცვლითი პროგრამები

ბოლონიის პროცესის მონაწილე, საქართველოს უნივერსიტეტი აღიარებული უნივერსიტეტია როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს უნივერსიტეტის სხვადასხვა პროფილის ინგლისურენოვანი პროგრამები აღიარებულია, როგორც სხვადასხვა სახელმწიფოების ოფიციალური სტრუქტურების, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს უნივერსიტეტი ასევე არის ენიკ-ნარიკის წევრი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (ENIC-EUROPEAN NETWORK OF INFORMATION CENTERS IN THE EUROPEAN REGION; NARIC-NATIONAL ACADEMIC RECOGNITION INFORMATION CENTERS IN THE EUROPEAN UNION).

საქართველოს უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპისა და ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებთან და სტუდენტებს სთავაზობს გაცვლით პროგრამებს უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში ერთი სემესტრით ან ერთი წლით. უნივერსიტეტში მოქმედებს ერაზმუს მუნდუსის, ერაზმუს პლიუსისა და ინდივიდუალური თანამშრომლობის ფარგლებში მოქმედი გაცვლითი პროგრამები.




## საერთაშორისო პროექტები

საქართველოს უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, მათ შორისაა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა ტემპუსი, რომლის მიზანია უმაღლესი განათლების რეფორმის ხელშეწყობა და თანამშრომლობის განვითარება ევროკავშირის პარტნიორ ქვეყნებში.

გაცვლითი პროგრამა ევროპის 100-მდე უნივერსიტეტში

7000-მდე საერთაშორისო სტუდენტი

# კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახური

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერულ წინსვლაზე კარიერული განვითარებისა და დასაქმების სამსახური ზრუნავს. საქართველოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა წარმატება და მაღალი დონის პროფესიონალიზმი განპირობებულია არა მხოლოდ უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური სტანდარტებით, არამედ სტუდენტთა კარიერული წინსვლისთვის მიმართული ძალისხმევითაც.

## კარიერული განვითარების და დასაქმების სამსახურის სერვისები:

- ტრენინგების სერია - "5 ნაბიჯი დასაქმებისკენ"
- WORKSHOP-ები დასაქმების ხელშეწყობისა და კარიერული განვითარების მიზნით
- დასაქმების ფორუმები
- ექსკლუზიური ინფორმაცია სტაჟირებისა და ვაკანსიების შესახებ
- ინდივიდულური შეხვედრა დამსაქმებლებთან
- ინდივიდუალური კონსულტაციები ეფექტური CV-ის, სამოტივაციო წერილის, LINKEDIN-ის შექმნისთვის



# კურსდამთავრებულთა 96% დასაქმებულია

# სტუდენტური ცხოვრება

## შესაძლებლობები და ინოვაციები

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება დინამიკური, მრავალფეროვანი და შესაძლებლობებით სავსეა. ამ პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება სტუდენტურ საქმეთა ცენტრი გახლავთ, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტური კლუბების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ინიციატივების განხორციელებას და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. ეს ყველაფერი კი ემსახურება დაუვიწყარი სტუდენტური გამოცდილების შექმნას.



## უნიკალური სტუდენტური კლუბების სისტემა

საქართველოს უნივერსიტეტი გამოირჩევა ინოვაციური სტუდენტური კლუბების სისტემით, რომელიც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, გაერთიანდნენ საერთო ინტერესების ირგვლივ და ჩამოაყალიბონ საკუთარი კლუბი. ეს პლატფორმა არამხოლოდ თვითრეალიზაციის, არამედ ლიდერობის, გუნდური მუშაობისა და ორგანიზაციული უნარების განვითარებისთვისაც იდეალურია. კლუბის წევრები აქტიურად მუშაობენ თემატური ღონისძიებების, დისკუსიებისა და პროექტების განხორციელებაზე, რაც კიდევ უფრო ამდიდრებს მათ აკადემიურ და პროფესიულ გამოცდილებას. სტუდენტური კლუბების არსებობა ამდიდრებს სტუდენტური ცხოვრების გამოცდილებას, ხელს უწყობს ახალგაზრდების ცოდნის გაღრმავებას, მსოფლმხედველობის გაფართოებას და მათი აქტიური, განათლებული და ქმედითუნარიანი საზოგადოების წევრებად ჩამოყალიბებას.




## სტუდენტური ინიციატივები და პროექტები

სტუდენტები თავად წერენ და წარმოადგენენ პროექტებს უნივერსიტეტის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ეს პროცესი მათ საშუალებას აძლევს, შეიძინონ პროექტის დაგეგმვის, განხორციელებისა და რესურსების მართვის პრაქტიკული უნარები, რაც მათ სამომავლო კარიერულ წინსვლას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს.

საქართველოს უნივერსიტეტში სტუდენტობა მხოლოდ აკადემიური მიღწევებით არ შემოიფარგლება–ეს არის სივრცე, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, შექმნან ინოვაციური პროექტები და იყვნენ უკეთ მომზადებულნი პროფესიული მომავლისთვის.

# სპორტი

საქართველოს უნივერსიტეტი ცხოვრების ჯანსაღი წესის აქტიური მხარდამჭერია. თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურითა და გუნდური სულისკვეთებით, უნივერსიტეტი უკვე ორი ათწლეულია, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საქართველოში სპორტის განვითარების მიმართულებით და ხელს უწყობს სტუდენტებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებასა და წარმატების მიღწევაში.

**ჩვენი სტუდენტური ნაკრებები წარმატებით ასპარეზობენ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატებში:**

- **ფუტსალის ნაკრები**
- **ფუტსალის სტუდენტური ნაკრები**
- **ფრენბურთის ნაკრები (ქალები / მამაკაცები)**
- **ფრენბურთის სტუდენტური ნაკრები (ქალები)**
- **ქვიშის ფრენბურთის ნაკრები (ქალები / მამაკაცები)**
- **ქვიშის ფეხბურთის ნაკრები**
- **კალათბურთის სტუდენტური ნაკრები**

**ვამაყობთ, რომ ვართ ერთადერთი უნივერსიტეტი საქართველოში, რომლის 7 გუნდიც ასპარეზობს უმაღლეს ლიგაში.**

ამას გარდა, საქართველოს უნივერსიტეტს ყავს წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ინდივიდუალური სპორტის სახეობებში.









LIBE

R




TAS

HUMANITAS EXCELLENTIA

+995 322 55 22 22
WWW.UG.EDU.GE